

# ԿԵՆՏՐՈՆ





ქ უ რ ნ ა ლ ჯ ე ჯ ი ლ ი ს

შ ი ნ ა ა რ ს ი.

83.

I.	ფოთლები (გადმოკეთებული) ლექსი შ. მდვიმუქისა. . .	3
II.	პატარა მილიონერი (პოლონურიდან) ა. ეუმისთაყელისა. . .	5
III.	ტყის მგელი და მინდვრის მგელი (თარგმანი) ეკ. შ—სა. . .	10
IV.	მდიდარი და ძუნწი ლექსი, ი. ბეღიაშვილისა. . . . .	13
V.	მოსწავლეთა შუამდგომლობა (თარგმ.) ს. ციციშვილისა. . .	15
VI.	ჩვენი ფრთოსანი მეგობრები, ან. წ—სა. . . . .	26
VII.	რუსის გლეხი, გ. წყაღტუბეჯისა. . . . .	33
VIII.	გრიგოლი (მოთხრობა), გ. ბაკეჩაისი . . . . .	36
IX.	კობლერი (დასასრული), ან. წ—სა. . . . .	42
X.	არღაში (ძველი თქმულება თარგმანი), ეკ. შ—სა. . . . .	47
XI.	გმირი კინკველები (ნათარგმნი), ან. წ—სა. . . . .	54
XII.	პატარა მკითხველების წერილები. . . . .	57
XIII.	წვრიმალი, აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ანაგრამა, ხალხურ-აფხაზური გამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა. . .	59



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,  
დაპურდი, გახდი ყანაო..  
ი. დ.

№ XI.

წელიწადი მეთექვსმეტი




თბილისი

სტამბა ექვთიმე ივანეს ძე ხელაძისა ლორის-მელიქოვის ქ.

1900

მ. მ. მ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Ноябрья 1900 г.



## ფოთლები

(გადმოკეთებული)

**ს**თელ საფსუქს ვკოპწიაობდით  
 ტურფათ დართულნი ძწვანითა,  
 სან მზის სსივებთან ვცელებდით,  
 სან ჰირს ვიბანდით ნამითა.

მაგრამ კავიდა საფსუქი,  
 მთაბარის შემამკობელი,  
 ვეზუილთ და ფრინველთ თან განჭევა  
 სეფირი მაგრეილობელი.

მთაც დაჭენა, ნისლმა დაჭბურა,  
 მკრთალი ფერი სცემს არესა,  
 ველები ჩაუვითლებულან  
 ფიქრს მისცემიან მწარესა.



ტყვილათ ჩვენ რაღა ვაკეთოთ,  
 ევითლათ რას ვეკონწივლოთ?  
 ის არ სჯობს გავუვეთ მათ უკან  
 და მინდვრათ ვიბორივლოთ!

დაჭბერე, მკაცრო გრივბლო,  
 მძლავრათ მოიდე სიავე,  
 მოგვევიტე მოწეენილ შტოებს  
 და ცაში აგვანიავე.

ცდა აღარა გვსურს, მოგვევიტე  
 მძაფრო, ზუსუნით, სტვენითა,  
 სანითაც წახვალ შენს ქროლას  
 ჩვენც უკან მოვდევთ ფრენითა!

შ. მღვიმელი.



# პატარა მილიონერი



(პოლანიურიდან).

იკმუნდი ჯერ კიდევ პატარა იყო, როცა მან დაჰკარგა თავისი საყვარელი დედა. განუსაზღვრელათ მოსიყვარულე შვილი მუდამ ოხვრით და ვაებით იკონებდა თავის „დედიკო“-ს და მდუღარე ცრემლების ფრქვევით სევდა-დამწველ ჭმუნვას ეძლეოდა. დედის სიკვდილის შემდეგ ზიკმუნდს არა ახარებდა რა. მამის უთვალავმა სიმდიდრემ, ათასგვარ ფასდაუდებელმა სათამაშოებმა და გასართობებმა ზიკმუნდის თვალში თითქმის ეოველივე მნიშვნელობა დაჰკარგეს. ზიკმუნდი სრულიად ობლათ გრძნობდა თავის თავს სამშობლო ოჯახში. მამა ათასნაირ საქმეებში გართული თითქმის სტუმრათ ჩაითვლებოდა სახლში. ფუფუნებასა და სიმდიდრეში აღზრდილი ზიკმუნდი დედის ჯავრმა მეტათ შეაწუსა, დააღონა; იგი დღითი დღე დიდის დარდისაგან ფერს ჰკარგავდა და სუსტდებოდა.

ზიგმუნდთან სძირათ მოდიოდნ მამიდა <sup>ეჭაღურნა</sup> ~~ეჭაღურნა~~,  
 რომელიც ეოველგვარ ღონისძიებას ხმარობდა, რომ  
 მეტათ დაჯავრებულნი ემაწვილი რაიძე ნაირათ წახალი-  
 სებინა, გაერთო. ვალერინა დიდის სიფრთხილით და და-  
 კვირვებით ართობდა ხოლმე ზიგმუნდს; ხან სად წაიყვანდა  
 მას, ხან სად, უამბობდა სამხიარულო შინაარსის სღაპრებს,  
 მკრამ ზიგმუნდი მანც მოწეენილი იყო, მას არა ახა-  
 რებდა რა.







ერთხელ ვალერინა სრულიად შემთხვევით ობოლთა  
თავშესაფარში წავიდბ ერთი ობოლი ნათესავის სანახავათ  
და ზიგმუნდიც თან წაიყვანა. ობლებისათვის ვალერინამ  
ზიგმუნდს ორი ჰაწია ღამა სათ დაწნული კალათით სავსე ტბი-  
ლეულობა ხელეშე წამოჰკიდა. როცა ზიგმუნდმა მთელი  
გროვბ ემაწვილებისა დაინახა, ერთბაშათ შესდგა და და-  
კვირვებით შესცქეროდა მათ; მოაგონდა რომ ამ ემაწვი-  
ლებს არც დედა ჰყავთ, არც მამა, რომ იგინი სრული-  
ად ობოლნი არიან და უეჭველია მსხავით მწუსარენი,  
თავისი საუვარელი დედის დაკარგვით. მიუხლოვდა ბავ-  
შეებს, ღმობიერათ მიესიყვარულა, გაღაჰკოცნა თითქ-  
მის თითოეული მათგანი და შემდეგ ჩამოურიგა ყველას  
ზატარ-ზატარა ტბილეულობა, ვიდრე კალათები სრულიად  
არ დააცალიერა.

ვალერინა გაკვირვებით შეჰყურებდა ზატარა ზიგმუნდს,  
რომელიც ბავშვებთან ერთათ ხან სტიროდა, ხან იცინოდა  
და ამხანირ თ საერთო ჟივილ-სივილში სანსიამოვნოთ ერ-  
თობოდა. ბოლოს ზიგმუნდმა მოირბინა ვალერინასთან და  
ყელში მარდათ ჩაკონიღმა მამიდას ყურში ჩასჩურჩულა:  
„მამიდა, რა კეთილი რამა ხარ, რომ აქ წამომიყვანე!“

ამას შემდეგ ზიგმუნდი თითქმის ყოველ დღე დადიო-  
და თავის ახლათ გაცნობილ მეგობრებთან, რომელთაც იგი  
უსიდავდა მვირფას სათამაშოებს, სხვა-და-სხვა განართო-  
ბებს და ათასნაირათ დამსადებულ ტბილეულობას. ზიგ-



მუნდი მთელი საათობით რჩებოდა ობოლთა თავშესაფარში, ში, ერთობოდა ბავშვებთან, მუდმივ მათვის ზრუნავდა, ასე წარმოიდგინეთ, სიზმარშიაც კი ისინი აკონდებოდა.

ზიგმუნდი ობოლთა თავშესაფარში თუძცა კარგათ ერთობოდა, მაგრამ მისი სისუსტე და დაღვრეპილება თან და თან მატულობდა. ამიტომ მამამ, ვალერინას რჩევით, ზიგმუნდი საზღვარგარეთ გაგზავნა ჰაერის გამოსაცვლელათ და გასართობათ. ზიგმუნდი დროებით მოაშორეს ობოლთა თავშესაფარს, მის საეყვარელ მეგობრებს. საზღვარგარეთ ზიგმუნდმა ბევრი შესანიშნავი ადგილები დაათვალიერა, ბევრი კარგი სანახავეები ნახა, მაგრამ იგი მანც ვერაფერმა ვერ მოჭხიბლბა; მისი აზრი და გონება სადღაც შორს, შორს იყო, იგი მთელი არსებით საეყვარელ ობლებს თავს დასტრიალებდა. ზიგმუნდს საზღვარგარეთის შესანიშნავმა ჰავამ და სანახავეებმა ვერა უშველეს რა, იგი დღითი დღე უფრო და უფრო სუსტდებოდა და ბოლოს ლოცინათაც ჩავარდა.

ერთხელ, როცა ვალერინა ავადმყოფს ბალიშს უსწორებდა, ზიგმუნდმა მამიდას ეელსე ჩამოაჭდო დასუსტეული კლავები და თვალებში ცრემლებ მორეულმა უურში ჩასწურწულა: „მამიდა, მე მკონია, რომ ფულებით კაცს ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია. იცი, მამიდა, შენ და მამა მე რომ ფულებს მამლეკდით ტებილეულობისათვის, ის ფულები მე როდიდა დამინარჯავს, ცოტ-ცოტა ვავრო-

ვე და ავერ სუთი ათას მანეთამდის ბანკში მაქვს შენახული ღირებულება. მაშიდა, ჩემო საყვარელო მაშიდა, მე სულ ძაღვ, ძაღვ მოვკვდები, და ეს ფულები სულ ობლებს დაურიგე“.

მაშიდა ვაღერინამ ამ სიტყვებზე მწარე ქვითინი მოჰყოლო.

— „ძნელი“, განაგრძო ისევ ზიგმუნდმა, „როცა საჭმელი ჰური არა გაქვს, მაგრამ ბევრათ უფრო ძნელი და სამწუხაროა, როცა დედა არა გეყავს. ფულით შესაძლოა, ჰური იყიდო, მაგრამ კეთილ და საყვარელ დედას განა ფულებით მოიპოვებ! მაშიდა ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო, როცა მოკვდები დედათ გაუხდი იმ ობლებს! აბა, შეძომფიცე, ჩემო კარგო მაშიდავ, რომ შენ ჩემს სიტყვას აასრულებ და დედობას არ მოაკლებ იმ საწყელებს!“

ამ სიტყვებთან ერთათ ზიგმუნდმა სამუდამოთ დასუტა წენარი, მაგრამ აძავე დროს ცრემლებით აღვსილი თვალები.

იმ ადგილის მასლობლათ, სადაც ზიგმუნდი დანსაფლავეს, ვაღერინამ და საბრლო მაძამ ააკეს ოროლთა თავ-შესაფარი და მით აასრულეს თავისი ჰირმძოს, გულმოწყალე ზიგმუნდის, უკანასკნელი სურვილი.

ა. ეუმისთაველი.



## ტყის მგელი და მინდვრის მგელი

(თარგმანი)



რთხელ ერთი ტყის მგელი და ერთი მინდვრის მგელი დარბოდენ და სასწოდოს დაეძებდენ. ბევრი იარეს, ბევრი ირბინეს, ტყე და ველი მოიარეს, მაგრამ ვერა ფერი იძოვეს. შიმშილით ისე გახდნენ, ისე გახდნენ, რომ ძლივს დასანსალეზდენ. უცბათ ერთი ქოხი დაინახეს, საიდანაც შემწვარი ირმის ხორცის სუნი გამოდიოდა. შიმშილმა შიში დაავიწყოთ და ჰირდანირ ქოხისაკენ გაიქცენ.

— რა იქნება რომ საჭმელი ვთხოვოთ? სთქვა მინდვრის მგელმა. — იქნება რამე მოგვცენ?

ქოხში ძალიან კეთილი ინდოელები სცხოვრებდენ და როდესაც მგლებმა საჭმელი სთხოვეს, ვეველაფერი მოუტანეს, კარგათ გაძღეს და ღამის გათევის ნებაც მისცეს.

მეორე დღეს მინდვრის მგელმა სთქვა:

— რა კარგი ყოფილა აქ! რა კეთილი ხალხი ყოფი-

ლან, როგორ აღერსიანათ მოკვეცენ!—მოდით სამუდამოდ დაფრეთ ამ კეთილ ხალხთან?

— ძალიან კარგი, უზახუნა ტუის მკელმა.



მკლები.

ინდოელებმა მკლები ჰირველათ ნახეს და ძალიან იამბთ, როცა ვაიკეს, რომ ისინი იმათთან დაჩქენას აზირებდენ.

— დაჩქით ჩვენთან, უთხრეს მათ, ცალკე ქონს ავიშენებთ, კარვით ვაგაძლობთ და თქვენთვის მოსვენებული იცხოვრებთ.



მანამ ისინი ქოხს აუშენებდენ ტყის მკელმა მინდვრის მართმინა, მთელი სოფელი მოიბრინა, რაც კი სადმე სორცი ნახა, მოიპარა, ერთ დიდ ლოდ ქვეშ დამალა და მინდვრის მკელს უთხრა:

— როდესაც ვეელანი დაიბინებენ, ამათგანაც მოვიტაცოთ სორცი და ტეეში წავიდეთო.

— არა ეკ არ ივარგებს, უხასუსა მინდვრის მკელმა, — ესენი ისე აღეწისიანათ მოგუქცენ, ზატვი გაცენ, გაგუამდეს, ბინა მოგუცენ და ჩვენ კი ძაღლობის მაგიერათ უნდა გავქურდოთ და მოვატეუოთ? — წადი, სორცი სხვებსაც ისევ უკან მოიტანე.

ტყის მკელს, რასაკვირველია, არ უნდოდა სორცის უკან დაბრუნება. მინდვრის მკელმა ინდოელებს ტყის მკელის აზრი შეატეობინა, იმათ ის სოფლიდან გააგდეს და მინდვრის მკელი კი სამუდამოთ ინდოელებთან სოფელში დარჩა და ზატრონის ერთგულ ძაღლათ გადაიქცა. ტყის მკელი დღესაც ტეე-ტეე დარბის, ხან საკლავს, ხან ცხვარს, ხან სორცს იტაცებს და ვეელანი ამისთვის სდევნიან.



## მდიდარი მუნჯი



რთ ქალაქში ვინმე მდიდარს  
ოქრო-ვერცხლი ჭქონდა ბლომათ;  
მაგრამ გროშს ვერ იმეტებდა  
თავის კუჭის განსაძლომათ.

ტანსე ეცვა ნაკინკვები,  
ხან სციოდა, ხან შიოდა;  
ეგრე მუნწი რათ შექმენო  
ღმერთს ზირიქით შესწიოდა.

ერთხელ უთხრეს: „კაცო რომ გაქვს  
ფულით სავსე უულაბები,  
საქმე ჭქმენი სასიკეთო  
დანაშურე კლასკები“...

მართლაც იმავე ხალხში მუნწმა  
გულწრფელობა აღიარა;  
და სულეველა: კუტი, კლასა  
შაბათობით დაიბარა.

დანარჩენ დღეს ღია ჭქონდა  
წინ ფალანგი, შიგნით ოდა  
და თავის თავს კარგათ გრძნობდა,  
რადგან არვის მოელოდა.



მაცრამ, დილით ჰირველ შაბათს  
 ჯაჭვსე შესსნა დიდი მურა;  
 შინ კარები შეიკეტა,  
 ბიჭიც სსვავან გაისტუმრა.

დაბარებით ბეგრი შეკრბა  
 შორი ახლოს მდიდრის კარსე,  
 მაცრამ ახლოს ვერ მიბედეს  
 დიდი ძაღლის დანახვასე.

მუნწს რომ ჰკითხეს მეორე დღეს,  
 მან მიუგო: — ვიყავ მსათო;  
 აბა ჩემი რა ბრალის  
 თუ ძაღლმა არ მოგიშვათო.

მაცრამ ვინ ვერ მისვდებოდა,  
 რაც მდიდარმა ჩაიდინა;  
 და ამ სახით ვირ-ეშმაკამ  
 სახელი სულ წაინდინა..

სოციერთებს სახელისთვის  
 წამლათ უხანთ თავის ქება,  
 დავიწყნიათ მხოლოდ ის, რომ  
 საქმით ეველა გამოჩნდება.



# მოსწავლეთა შუამდგომლობა

(თარგმანი)



ატ-მედოუსის (ამერიკის სოფელი) სასოფლო სკოლაში დილის რვა საათზე ეველა მოსწავლე ქალებს და ვაჟებს მოეუბრათ თავი; შლიდენ წიგნებს და რეეულებს და მასწავლებლის შემოსვლას ელოდენ.

მათი მასწავლებელი თომას ვიბლედენი საკურველი ბეჯითა კაცი იყო, თავის დღეში არას დროს არ იგვიანებდა სკოლაში. არც მოსწავლეები და-

ლატობდენ თავის საეგარეღ მასწავლებელს და სკოლაში ყოველთვის ისინიც დანიშნულ დროსე მოდიოდენ.

— იატონი თომასი სწორეთ სასწაულთ მოქმედია; იტეოდენ სოლმე ბავშვების ძმობლები, როდესაც სედავდენ, რომ მათი ცეაქი და მოუსვენარი შვილეაი სკოლაში ჭკვიანათ იქცეოდენ.



მართლაც ვიბლედენი და მისი მოსწავლეები ნამდვილი მეგობრები იყვნენ, სკოლაში მუდამ კარგი წესიერება იყო; მოსწავლეებმა შეიყვარეს თავისი კეთილი მასწავლებელი და მასაც ანუგეშებდა ეს თავის გაჭირვებულ მდგომარეობაში.

იმ დილას, როდესაც ბ ვშეები თავის წიგნების შლასში იყვნენ, სკოლაში ისე ნელა შემოვიდა მასწავლებელი, რომ ვერაზინ გაიგო და მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როდესაც მან სკამს ხელი წაავლო. ზირველათ აისედა ძაღლა 12 წლის გიორგიმ და საშინლათ გადისარჩნარა, მაგრამ უცებ შეჩერდა და თავი ისე დაბლა დაიღო, რომ თითქმის ცხვირი სედ წიგნსე დაადო, ეტუობოდა ძალიან ცდილობდა სიცილის შემავრებას, მაგრამ მისდა საუბედუროთ, უარესი სიცილხარხარი ასტესეს სხვა მოსწავლეებმაც. მასწავლებელი გაოცდა, მას ვერ აესნა სიცილის მიზეზი, თავის დღეში იმის მოწაფეებს ეს არ ექნათ!

— გიორგი, მოდი აქ ჩემთან — უთხრა ემაწვილს ალეურსით მასწავლებელმა — მითხარი, ჩემო კარგო, რაზე იცინი?

გიორგი თავზაღუნული მიუახლოვდა მასწავლებელს და დარცხვენით უპასუხა:

— მე... მე... არ შემიძლიან გითხრათ.

— რატომ, რა მიზეზია? მე მინდა რომ უთუოთ შენ ამისნა თქვენი სიცილის მიზეზი.

— მაშ კარგი! უპასუხა გიორგიმ და გაბედვით შესედა



მასწავლებელს. — თქვენსე ვიცინოდით, ისეთი სასადაცილოთი  
გავწეწით თმა, რომ სწორეთ საშიძარი ხართ... და აქ ისევ  
მოისმა გიორგისა და მისი ოცდა თვრამეტი ამხანაგის სი-  
ცილ-ხარხარი; ეკლანი ცდილობდენ მასწავლებლისთვის არ  
შეხედათ. თუძცა მეტათ უმხო ქერა თმა ჰქონდა ვიძბლედენს,  
მაგრამ ეოველთვის ისე წმინდათ და სუფთათ ივარცხ-  
ნიდა, რომ ემაწვილებს ძალიან მოსწონდათ და მუდამ იძას  
იძასოდენ, ჩვენი მასწავლებლისთანა მშვენიერი თმა არავის  
ეკნებაო. ახლა კი ისე სასადაცილოთ გაბურძგენოდა თმა, ისე  
არეულ დარეულიყო ერთმანეთში მისი ბეწვები, რომ არამც  
თუ ცელქ ბავშვებს, ბებრებსაც კი გაეცინებოდათ იძის და-  
ნახვაზე.

— სასადაცილოთ გამწეწია თმა! შესძახა გაოცებულმა  
მასწავლებელმა და უნებურათ თავსე ხელი გადისვა.

— მაშ, მაშ! შეჭევირა გიორგიმ— აბა ერთი სარკეში  
ჩაინგდეთ!

კლასში ერთი ძველი სარკე ეკიდა, მასწავლებელი მი-  
ვიდა და, როდესაც თავისი თავი დაინახა სარკეში, თითო-  
ნაც გაეცინა. იძისმა მოსწავლეებმა რომ ეს შენიშნეს ხელ  
მეორეთ მოჭევენენ ხარხარს.

— კარგი, გეოფათ სიცილი, ჩემო მეგობრებო, უთ-  
ხრა ბოლოს ვიძბლედენმა. — ძართლა რომ სასადაცილოთ  
გამწეწია თმა და თქვენც არ გამტეუნებთ რომ სიცილი  
ავიტყდათ. ახლა კი წავალ და თძას დავუივარცხნი.





ორიოდ წამს შეძრევ ვიძლედენი გამობრუნდა მსუღბრით  
 თათ დაჯარცხნილი თმით და დაიწყო სწავლა ისე ტები-  
 ლათ, თითქო არც კი არაფერი მომხდაწო. მოსწავლეებიც  
 აღარ იცინოდენ, ისინი ბეჯითათ იმეორებდენ თავ თავის  
 გაკვეთილს, თითქო ამით ცდილობდენ თავისი კლასს საქ-  
 ციელის გამოკეთებას.

როდესაც სწავლა გათავდა და მოსწავლეები ქვილ-  
 ხიკილით გაეფინენ ესომი, მასწავლებელი კულხელ და-  
 კრეფილი გაჩერებულყო და რაღაც არა ჩვეულებრივი  
 მწუნარე სახით შესცქეროდა ბავშვების მხიარულ სიცილ-  
 ხარხარს.

— მშვიდობით ბავშვებო — დაუევირა იმან მიძავალ  
 მოსწავლეებს.

— მშვიდობით, მშვიდობით! უპასუხეს ერთხმათ ვეკლამ.  
 ვიძლედენი კიდევ რამდენსამე ხანს შესცქეროდა თავის  
 მოწაფეებს, მერე მიბრუნდა თავის ოთახისაკენ და  
 წარმოიდგინეთ, იმან დაინახა გიორგი, რომელიც სახლში  
 წასვლის მაგიერ კლასში დაფათურობდა; სწევდა სძირათ  
 ცალიერ უჯრას და თითქო რაღასაც ეძებდა.

— ტუილათ, ცდილობ, გიორგი, შენ რასაც ეძებ  
 რამდენიც უნდა ეცადო მანდ ვერ იპოვი — უთხრა ალერ-  
 სით ვიძლედენმა და მხარზე ხელი დაადო.

— როგორ! თქვენ რა იცით, რასაც ვეძებ? წაილანა-  
 რაკა დაწესვენით გიორგიმ.

— მე ის ვიცი, რომ შენ ჩემთან შერიგებას გეხვეწებოდა, გრამ იმას სტოლის ცალიერ უჯრანში ვერ იზოვი, ჩემო-გიორგი, მე აკი გითხარით, დამნაშავეთ არ მიმაჩნისართ და არც გიჯავრდებით მეთქი!


მასწავლებელი სკამზე დაჯდა და გიორგი კვერდით მოისვა.

— არა, მე ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ—წამოიძახა გიორგიმ, რომელსაც ცხადათ ეტეობოდა გულით უნდოდა იმის თქმა, რაც ისე ძალიან აწუხებდა.—მე ურიგოთ მოვიქეცი, მე გლახა ვარ, დაგცინეთ თქვენ, თქვენ, ჩვენ ძვირუას მასწავლებელს! ოხ, ნეტავი ვისმე გაველახე ის მერჩივნა ამ სისაძაგლის ჩადენას.

— ეგ სულ უბრალო რამ იყო—მიუგო ვიძბლედენმა, რა დიდი რამ არის ერთხელ მეც დამცინოთ. ამას გარდა, არ გახსოვს, ჩვენ სომ გადავწევიტეთ გლახა რამ აღარ უნდა მოვიგონოთ!

გიორგიმ მადლობით შესედა მასწავლებელს. ის დარწმუნებული იყო, რომ დიდი შეურაცხყოფა მიაყენა მას და ამიტომ მისი სიტყვები კეთილი მასწავლებლის სულგრძელობას მიაწერს.

მასწავლებელი კი გაფითრებული, რაღაც არა ჩვეულებრივი მოწეენილი სახით შესცქეროდა გიორგის. ცოტას ხანს ორივენი ჩუმათ ისხდენ, ბოლოს ვიძბლედენმა ღრმათ ამოიოხრა და ჩუმი ხმით წარმოთქვა:



— იცი, გიორგი, შეიძლება თქვენ სწავლებას ძალე  
თავი დაჯანებო და აქედან გადავიდე.

— ვაიძე! რათა? წამოიძახა გიორგიმ, რომლის ხმა-  
ში მწუსარებაც გამოინატებოდა და შიშიც.

— დიას, ჩემო კარგო! განაგრძო მასწავლებელმა—  
შეიძლება მოხდეს ეს, ჩემდა სამწუსაროთ! გიორგიმ ვე-  
ღარაფერი სთქვა, ის მეტათ გაცოცებული, დარცხვენილი  
და შეწუსებული იყო. ამხნევდა რომ მასწავლებელი რაღა-  
სედაც ძალიან სწუხდა.—იქნება ამიტომაც დახვიწუდა წე-  
დან თავის დავარცხნა!—ფიქრობდა ის.

მასწავლებელი და მოწაფე კიდევ რამდენსამე ხანს ჩუ-  
მათ ისხდნენ. ამ დროს კარი გაიღო და ჰატარა გოგონა  
შემოვარდა, რომელმაც მასწავლებლის დანახვასე შეჭყვირა:

— მასწავლებელო, ჩქარა წამოდით, ჩქარა. თქვენმა  
დამ მოგახსენათ, რომ იმ ბოჩკას, რომელშიც ჰანტის წვე-  
ნია (კვასი) ჩასხმული საშინლათ გასდის და ვერაფრით  
გაუმაგრებია!

— ოჰ, ეკ გლახა ამბავია—სთქვა ვიბლედენმა—ესლაჰ  
მოკდივარ, მერი, ესლაჰ.

— ჩქარა, მასწავლებელო, თორემ საწეალა თქვენი და  
ძრეელ წვალებაშია, ზის ბოჩკასთან და ცდილობს თითები  
დაუცოს იმ ადგილს, საიდანაც წვეთს, მაგრამ ვერას გამხ-  
დარა, მაინც იქცევა ჰანტის წვენი.

ვიბლედენმა თავი დაუკრა ორივე ბავშვის, მიბრუნდა

გიორგისკენ, ამოდოა ჯიბიდან ოთხათ შუკეცილი ქაღალდის ფურცელი და უთხრა:

— მართლა, გიორგი, წელან დამავიწყდა შენი თხზულების გადმოცემა; გაუმინჯე, გავასწორე და გთხოვ დაფიქრებით წაიკითხო. რომ გადიოდეთ სკოლის კარებიც დაუკეტავი არ დაგრჩეთ. სთქვა ეს და მასწავლებელი საჩქაროთ გავიდა ოთახიდან.

გიორგი და მერი მარტო დარჩნენ.

— გიორგი გენაცვა, ჩვენ ქუხამდის ერთათ წავიდეთ! მე მარტო წასვლისა მეშინიან, უთხრა სვეწით მერიმ გიორგის.

გიორგიმ არაფერი უპასუხა მერის, ის გულმოდგინეთ ჰკეტდა სკოლის კარსა და ფანჯრებს და მთლათ მისი ფიქრი მასწავლებლის უკანასკნელ სიტყვებს მოეცვა. — ნუთუ მართლა წავა, დასტოვებს სკოლას!? რათ მითხრა, თქვენ სწავლებას თავი უნდა დაუანებო! ღმერთო, ის სომ ვუელას გვიყვარს, ბავშვებსაც და ძმობლებსაც!

ამ ფიქრებში გართულმა გიორგიმ ჩაიწეო წიგნები თავის ჩანთაში და გაუდგა გზას. იმან მტკიცეთ გადასწევიტა: საუვარელ მასწავლებლის სხვაგან გაშვება არას გზით არ შეიძლება, უთუოთ ჩვენთან უნდა დავიტოვოთო.

— გიორგი რათ ხარ აგრე მოწევილი? მოესმა გიორგის ჰატარა მერის წკრიალა ხმა და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ის ფეს-და-ფეს მოსდევდა. — გიორგი, ჯვარე-



დინ გზამდის ერთათ წაუდეთ, თუ ძმა ხარ, —  
 ძერი თავის მოღუპულ ამხანაგს — ხედავ თითქმის ბინდღე-  
 ბა და დედანზემი კი ეოველთვის ჯავრობს, როცა ამ დროს  
 მარტო დაუდევარ.

— გზამდის კი არა, სხსლამდისაც გაგაცილებ — უზა-  
 სუსხ გიორგიმ.

— ჰო ჩემო გიორგი, რა კეთილი ხარ — შეჭყვირა სი-  
 ხარულით ძერიმ.

გიორგიმ ცოტა მოუკლო სიარულს, რადგან ხედავ-  
 და, რომ ძერი მის დიდ ნაბიჯებს ვერ ეწეოდა და ძეტათ  
 სსსაცილოთ მინტოდა. ძერი ცდილობდა როგორმე გიორგი  
 გაემსიარულებინა და ამიტომ შეუწვევლათ ტიკტიკებდა.

— გიორგი, ნეტა დაგენახა წელან მასწავლებლის და,  
 რა სსსაცილო იყო, როდესაც იატაკზე წამოწოლილი თი-  
 თებს უცობდა ბოჩკას იმ ადგილში, საიდანაც ჰანტის წვე-  
 ნი გამოდიოდა: თავსახური გვერდზე მოქცეოდა, სათვალები  
 ზედ ცხვირის წვერზე ჩამოჰკიდებოდა, ერთი სიტყვით  
 ისეთი სსსაცილო იყო, რომ დაგენახა სიცილით მოკვდუ-  
 ბოდი. დილას ხომ ჩვენ მასწავლებელსე ვიცინოდით — ეგ  
 კიდევ უფრო სსსაცილო იყო.

გიორგის გულსე მწარეთ მოხვდა ჰატარა ამხანაგის  
 სიტყვები და საჩქაროთ უთხრა:

— არაფერი სსსაცილო იყო არც დილას და არც ესლ!

— მართლაც სსსაცილო შენა ხარ, გიორგი! დილას



პირველათ შენ არ გადისარსარე მასწავლებლის დანახვას უნახუსა გაცებით მერემ.

— რა ვუყოთ მერე? დილას სხვა იყო და ესლას სხვა არის! ჩაილაზარაკა დარცხვენით გიორგიმ. სახლში რომ მივიდა გიორგიმ მაშინვე მასწავლებლისაგან გასწორებული თავისი თხზულება ამოიღო, რომ, როგორც მასწავლებელმა უთხრა, დაფიქრებით წაეკითხა და წარმო დგინეთ, თავისი თხზულების ნაცვლათ, რადაც საქმის ქაღალდი შერჩა ხელში, მასწავლებლის თომას ვიბლედენის სახელსე. — ალბათ შეცდომით თუ მამცა მასწავლებელმა — გაიფიქრა გიორგიმ და, თუცა იცოდა რომ სხვისი წერილების წაკითხვა უსკინიდისობაა, მაგრამ მაინც სეელმა წასძლია და წაკითხა შემდეგი:

სამოსწავლო საბჭოს მმართველობისაგან მასწავლებელს თომას ვიბლედენს:

მოწყალო ხელმწიფე!

ორს ამ თვეს მოწერილი თქვენი თხოვნა გავზანჯეთ და რადგან თქვენი სკოლის შენობას მეტათ ბევრი ფული უნდება და საბჭოს კი დიდი შეძლება არა აქვს, ამიტომ სკოლის საბჭო გაცუობინებთ, რომ თქვენის თხოვნის თანახმათ არ შეგვიძლიან მოგიპატოთ ჯამაგირი. სამაგიეროთ ჩვენ უკვე კარგა ხანია გადავწყვიტეთ, რომ მესამედი თქვენის ჯამაგირიდან დაგიკლოთ, უკეთუ ამაზე უარს იტყვით შეგიძლიანთ სხვა ადგილი მონახოთ!

სკოლის საბჭოს თავმჯდომარე გენრი ჯონსი.

— გიორგი ჩემო ბიძიკო, ახლო მოდი სინათლესთან და ისე იკითხე გაკვეთილი, მაგ ბნელაში თვალები წავის-



დებს—მოესმა გიორგის ძამიდის ხმა—აკერ წმინთი მსახიობი  
მაკ გაკვეთილს ჩასცქერისარ, ალბათ ძალიან ძნელი გაკვე-  
თილი მოუცია მასწავლებელს.

გიორგიმ უცებ დაკეცა ქაღალდი, ჩაიდო ჯიბეში და  
დაუწყო თავის საეგარეო კატას ალერსი.

— მეტათ კარგი კაცია თქვენი მასწავლებელი—განა-  
გრძო გიორგის ძამიდან, რომელიც თან გაჩქარებით წინ-  
დასა ქსოვდა. როცა წარმოვიდგენ რომ მოსუცებული დამ-  
ბლა დედა და ორი ხანში შესული და კისერზე აწევს, გუ-  
ლი მიკვდება. რა ჯამაგირი აქვს საცოდავ სოფლის მას-  
წავლებელს, ეს ღმერთმაც იცის და კაცმაც. როგორ გა-  
მოდიან, საწელები, საკურველია, მერე ასე ამბობენ ამ სო-  
ფელში არც ერთ ღარიბს არა სტოვებს რომ შემწეობა არ  
მისცესო.

გიორგი რაც შეეძლო მაგრათ უსვამდა კატას ხელს  
და ხმას არ იღებდა.


— ჩემ სიუძმწვილეში ჩვენ სოფელში ერთი მასწავლე-  
ბელი იყო, რომელსაც.....


რადგან გიორგის ათასჯერ გაეგონა ეს ისტორია, ამი-  
ტომ ეურს არ უგდებდა და სულ თომას ვიძლედენის ფიქრ-  
ში იყო:—საწყალი მასწავლებელი! ფიქრობდა გიორგი—  
მასსოვს ერთხელ სადილათ აღარ გამაძიშვა, თითონ ერთი  
ხატარა ნატენი ზურის მეტი არა უჭამიარა, სულ ავათძეოფ  
დედან და დებს სთავაზობდა ეველსაფერს, მე თითქმის ძმიე

რი მოვედი სასლში, მაგრამ დედანთან როგორ ვიტყვოდი ამას. ოს დმერთო, რა ღარბია, საწყალი ჩვენი საუვარეული მასწავლებელი! გაიფიქრე გიორგიმ და თითქო მასწავლებლის სიღარბისა თითონვე შერცხვა.

— საწყალმა ალბათ, იმიტომ შეჭამა ჰატარა ნაჭერი, რომ დებს მეტი დარჩენოდათ, ახლა კი ვიცი დილას თმის დავარცხნა რათაც დაავიწედა.

(შემდეგი იქნება)





ჩვენი ფრთოსანი  
მეგობრები.

**ჩ**ვენ დროში ახლა ეველა მისვდა, რომ ფრინველებს უნდა გავუფრთხილდეთ, დიდი სასარგებლონი არიან და ვინც იმათ დევნის და სოცავს თავის-თავის მტერია.

თუ ფრინველებს არ გავუფრთხილდებით ჩვენ არც სილი შეგვრჩება და არც ბოსტნეულობა, მწერები გაანადგურებენ ჩვენ ბაღების შემოსავალს.

ყოველ წლივ მწერებს დიდ ძალი სარალი მოაქვსთ. რამდენსაც მეტ ფრინველებს გავწვევტამთ, იმდენათ მწერები მრავლდებიან და უღმერთოთ ანადგურებენ ჰურს და სხვა მარცვლეულობას. კაცს ეძნელება ბრძოლა იმისთანა

მტერთან, როგორც არის მწერი: მას ფრთები არა აქვს, რომ გაფრინდეს და მოეწიოს მწერს, — ისეთი თვალის ისარი არა აქვს, რომ დაინახოს უხილავი ჰაწაწკინტელა კვერცხები. ფრინველის საქმე კი სულ სხვაა, ის მოძრავია, თვალთა სედვა კარგი აქვს, ამასთანავე საშინელი გაუძაძღარია; შეუსვენებელივ ებრძვის მწერებს და ანადგურებს მათ კვერცხებს.

ფრანგის ბუნების მეტყველნი გვაუწეებენ, თუ რა სარგებლობა მოაქვთ ფრინველებს ჩვენი ოჯახისათვის. იმათ გამოიკვლიეს იმ ფრინველთა კუჭი, რომელნიც ძალიან ეტანებიან მწერებს და აღმოაჩინეს შემდეგი: მერცხალი დღეუში იჭერს ათას კოდოს, ბუხს და ჰეჰელას. წყალ-წყალა ჩიტი ასაღებს სხვადასხვა მწერებს წელიწადში ორასი ათასს. ბულბული და კიოტა იკვებებიან მხოლოდ მწერების კვერცხებით და წელიწადში ნახევარ მილიონს ჰყლან ჰავენ. კოდალა ანუ ხე კაკუნა, რომელიც დამკრება ხეებზე და მის ქერქ ქვეშ ეძებს მწერებს და მათ კვერცხების, სწორეთ ნამდვილათ ტუის მცველათ უნდა ჩაითვალოს. ბელურებიც კი, რომლებსაც ისე უწვართ ჰურის მარცვალი და ხილის ჭამა, დიდ ძალ ბუხანკალებს და ჰეჰელებს ასაღებენ, მეტადრე კალიის კვერცხებს ემტერებიან.

დიდრონი ფრინველები ისეთივე სასარგებლონი არიან, როგორათაც ჰატარები. გუგულები, უვაგები და შოშიები ჭამენ აუარებელ რიცხვს მანვე მწერებისას. ბევრი მათგანი

ვარდა მწერებისა ასაღებენ მინდვრის თაკვებს, ციფს და სხვა ძაზნე მღრღნავ ზირუტეებს.

ჩვენ კი რას ვძვრებით? იმის მაგიერ რომ გავუფრთხილდეთ, გვიუვარდეს ჩვენი ფრთოსანი მეგობრები ვდევნით მათ, ათასობით ვსოცავთ, მათ ბუდეებს ვანადგურებთ.

საფრანგეთში გამოსცეს სასტიკი ბრძანება, რომ ფრინველებს არავინ ხელი არ ახლოს. აგრეთვე სასტიკათ აკრძალულია ბუდის ხელის ხლება. ევროპის ყველა ქვეყნების სოფლის მასწავლებლებს მიწერილობა აქვთ ჩააკონონ ემაწვილებს, რომ ფრინველები მათი ოჯახის საუკეთესო მეგობრები არიან.


მარშან ქალაქ ბერნში მოგროვდა ორასი მეტი კაცი სხვა-და-სხვა ქალაქებიდან და სჯა-ბასი ჭქონდათ, როგორ დაიცვან და განამრავლონ ტყის და მინდვრის ფრინველები. იმედია რაკი მისვდებიან ფრინველების სარკებლობას ყველა მათ შეიუვარებს და უფრს უკდებს.

ბელურა ჩიტებს, რომლებსაც უუკართ ალუბლის (ქვიშნის) ჭამა და ზურის თავთავის გლეჯა, მართალია ქურდებს უძახიან, მაგრამ ასლა იმათაც ბევრნი ესარჩლებიან, ამბობენ ძალიან სასარკებლო ფრინველიაო, ბევრ მწერებს ჭამსო.

სშირათ მეძამულე საშინელ მდგომარეობაში ვარდებს: ხედავს მტერი როგორ მიესია მის ძამულს და თითონ კი ვერა გაუწვიარა. ის ამ დროს მხოლოდ ფრინველებს

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გამოუყვანიათ გაჭირებიდან. ერთ დიდ მამულში მატლებმა რაც ბაღში ხეებზე ფოთლები იყო სულ შეჭამეს. შემოდგომაზე ამ მატლებიდან გამოსულმა ზეპელებმა იმდენი კვერცხები დადვეს, რომ სის ტოტებს თავის ფერი აღარ უხნდათ, ჰატრონებს უნდოდათ ხელით მოეშორებინათ ხეებიდან ეს ჰაწაწკინტელა კვერცხები, მაგრამ ძალიან გაუჭირდათ: რამდენსაც აჭკრეფდენ ზეპელები ხელ ახლათ დებდენ კვერცხებს. სამთარში ნიბლიას და წვალწვალას გუნდი ეწვია ბაღს და ზეპელები ცოტ-ცოტა შემცირდა. და როდესაც გასაფხულსე ოცმა წვეილმა წვალწვალამ გაიკეთეს ამ ბაღში ბუდე, მაშინ სომ ჭიები სულ გაწედენ და ბაღი განთავისუფლდა მწერებისაგან.



ერთი ტუის მცველი სუთი წელიწადი ებრძოდა მწერებს, რომლებიც იკლებდენ ტუეს და ვერა გააწეორა, სანამ შოშიებისთვის არ გააკეთა ას ოცი ხის ჰატარ-ჰატარ საბუდრები. შოშიები მაშინვე დასახლდენ, გაიკეთეს ბუდეები და



დაიწეს მწერების ქლეტა ისე, რომ ერთ წელიწადს შემდეგ ტეეში მწერების სსენებაც აღარ იყო.

ერთმა სწავლულმა ნემეცმა, უურადღება მიაქცია, რომ ერთხელ დიდ ძალი გუგულები დასსდენ მესოლბათ მეოფ ნაძვის ტეეში, თურმე ამ ტეეს დასეოდენ ჭიის შავი ჰეჰელები, გუგულები დაჩენ ამ ტეეში, სანამ სულ მთლათ არ ამოსწვიტეს ეს ჭიეები.

ამავე სწავლულმა შეამჩნია, რომ შოშიების გუნდმა მთელი მინდორი თაღაძი გადაარჩინა კომბოსტოს ჭიისაგან.

ამერიკაში და ავსტრალიაში ჰირველათ რომ ხალხი დასახლდა ძალიან გაჭირებაში ჩავარდენ ჭიებისაგან: მინდვრებს და ბოსტნებს უწვალათ ანადგურებდენ მწერები, სანამ გამოიწერდენ ევროპიდან ბელურა ჩიტებს. მხოლოთ ამათი წვალობით გადირჩინეს თავი მტრებისაგან.

აღრე, როდესაც ბევრი ტეეები იყო და ბაღებში დიდრონი ხეები, ფრინველებიც ბლომათ იბუდებდენ შიგ. ახლა ტეეები ბევრ ადგილას გაჭკაფეს და ეველას სასწრუნეკლათ გაუხდა, რომ მინდვრები, ბაღები და ბოსტნები არ დაჩენ უფრინველოთ და ცდილობენ დასახლონ და შეიჩვიონ.

ეველას ისე საჭიროთ მიანჩიათ ფრინველების შეჩეევა, რომ ხალხი თითონვე უკეთებს ბუდეებს—მეტადრე შოშიებს. სოკიერთ სოფლებში ისე არა ნახავთ ქოხს, რომ გამოკიდებული არ იყოს შოშიებისთვის ჰატარ-ჰატარა ხის საბუდრები. და აი სწორეთ იმ ადგილებში, სადაც ბლომათ



არინან შოშიები იცის შვენიერი კიტრის და ქვიშის მოსახლეობა.

სხვა ფრინველებსაც რომ გაუკეთონ საბუდრები და ჩამოჭვიდონ ხეებზე ტყეებში, ბოსტნებში და ბაღებში, მაშინ დამშვიდებული ვიქნებით, რომ ჩვენი მტრები მწერები არ განანადგურებენ ჭირნახულს.

ამასთანვე არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი მეგობრები ფრინველები და ეური ვუგდოთ სამთარში. დიდი თოვლის დროს, სასტიკ ამინდებში, მეტადრე ჰატარო ფრინველები ძნელათა მოულობენ სასრდოს და ჰატრონობა უნდა გაუწიოთ. ბაღში, ხეზე, უნდა ჩამოაკიდოთ ღორის ან ძროხის ქონი, რომელიც წუალწუალა ჩიტს ძალიან უკვარს. კარგი იქნება, რომ ყოველ დღე ფანჯრის ხარისხზე დაუყაროთ ჰურის ნამცეცები ან რაიმე მარცვლები და ისინი საფხულში სიკეთეს ერთი ორათ გადაგვიხდიან.

საფრანგეთში ერთ სოფლის სახლის კედელზე მიკრული იყო ფოსტის ეუთი. ყოველ დღე ფოსტალიონი ადებდა ეუთს და იღებდა იქიდან წერილებს. ერთხელ ამან შეამჩნია, რომ ეუთის კუთხეში წუალწუალა ჩიტს გაეკეთებინა ბუდე. მას აქეთ ფოსტალიონი დიდი სიფრთხილით ადებდა ხოლმე ეუთს, რომ ფრინველს არ შეძინებოდა.


წუალწუალა ისე შეეჩვია ფოსტალიონს, რომელიც ყოველ დღე ადებდა ეუთს, რომ აღარ ეძინოდა. იმან დინჯათ გამოსასა თავისი ბარტყები. მეორე წელიწადს წუალწუალამ კი-



დედ ფოსტის ყუთში მოიწეო ბუდე და მასუკან გულკეთილი ფოსტალიონი ეოველ გასაფხულს მხარულათ ეკებებოდა სოღმე თავის ჰატარა მეკობრებს.

ის სწავლულები, რომლებსაც ფრინველების ცხოვრება ზედ მიწვენით შეუსწავლიათ მოგვითხრობენ თუ რა ხანგრძლივ ცხოვრობენ სოციერთი ფრინველები. ძაგალითათ მოღაღურს და შინაურ ქათამს შეუძლიან ათ წლამდის იცოცსლოს. ტოროლას და შაშვს 12 წელიწადს. მტრედს—23. ჭივჭავს, წეროს და ფარშევანგს 24 წ. ჭოტს 50 წ. თუთიყუშს 60. ევავს, კედს და პერას ას წლამდის შეუძლიან გაატანონ. მნელი წარმოსადგენია თუ რამდენ მწერებს ჩაულაზავენ ეს ფრინველები მთელ თავის სიცოცხლეში.

ან. წ—ის.



# რუსის გლეხი



თხასი წელიწადი იქნება მას აქეთ, რაც რუსეთის სახელმწიფოს ერთი უბედურება ეწია: იქ ამოწყდა უწინდელი მეფეების, რიურისის, გვარი და რუსები უმეფოთ დარჩნენ. ამას შემდეგ ხან ვინ დაეპატრონა ტახტს და ხან ვინ, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა. ხალხში დიდი უთანხმოება და არეულობა ჩამოვარდა.

1610 წელში ძალათ ჩამოაბრძანეს ტახტიდან ვასილი შუსისკი და რუსეთი სრულიად უმეფოთ დარჩა. ამ უმეფობამ სამწელიწადს გასტანა და, რაკი თავი კაცი აღიარა ჰყავდათ, კიდევ უფრო გაძლიერდა უთანხმოება, მტრობა და შინაური ბრძოლა. რუსეთის ასეთი გაჭირებული მდგომარეობით ისარგებლა პოლონეთის ხელმწიფემ, სიგიზმუნდმა, შემოესია რუსეთს, დაიჭირა ზოგიერთი ქალაქები და მოსკოვშიაც, მაშინდელ რუსეთის დედა-ქალაქში, ჯარი ჩააყენა. ამას შემდეგ მოინდომა თვითონ დაბრძანებულიყო რუსეთის ტახტზე და თვით რუსეთში ფრანგების რჯული გაეცრცელებინა. რუსები დიდ განსაცდელში ჩაყარდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ.

მაგრამ, როცა რუსეთი ასეთ მდგომარეობაში იყო, გამოჩნდნენ ზოგიერთი ისეთი მოყვარენი თავისი ქვეყნისა, რომ ყველაფერი შესწირეს მას, ითავეს, დაიჭირავეს ჯარი, აირჩიეს კარგი სარდალი, მიიტანეს იერიში მოსკოვის ქალაქზე, სძლიეს პოლონელებს და დაიბრუნეს ისევ თავისი დედა-ქალაქი. ამას შემდეგ შეიკრიბნენ, ბევრი იფიქრეს და ერთხმად აირჩიეს მეფეთ ერთი თექვსმეტი წლის ქაბუკი მიხეილ რომანოვი, რომლის ჩამომავალნიც არიან ახლანდელი რუსეთის მეფეები. მიხეილის მამა თეოდორე ახლო ნათესავი



იყო რიურიკების გვარის უკანასკნელი მეფისა. იმ დროს მისი მინიელი მეფეთ აირჩიეს, ის და დედა-მისი მართა ერთ შორეულ მონასტერში სცხოვრობდნენ, ახლანდელ კოსტრომის გუბერნიაში.

სიგიზმუნდმა რომ გაიგო, რუსებმა მისიელი ამოირჩიეს მეფეთო, ძრიელ გაჯავრდა, გაგზავნა ჯარი და უბრძანა, უთუოთ ებოენათ იგი და მოეკლათ. ჯარიც წავიდა იმ მონასტრის საპოვნელათ, სადაც პატარა მეფე იმყოფებოდა თავისი საყვარელი დედით. მაგრამ, მათდა ბედათ, ჯარის კაცებმა გზა არ იცოდნენ; ბევრი იხეტიალეს და ბოლოს დაიჭირეს ერთი გლეხი, ივანე სუსანინი, და უბრძანეს: წაგვიძიე და გვასწავლე გზა, თორემ ლუკმა-ლუკმა აგუწავთო. რას იზამდა საწყალი გლეხი? — პირობა მისცა, მხოლოთ სთხოვა, სახლში შესვლის ნება მომეცით, რომ ტანისამოსი ჩავიცვა და ცოლ-შვილს გამოვეთხოვო. იმათაც ნება დართეს.

ივანე შესანიშნავი გლეხი გამოდგა, მან გულში გადასწყვიტა შეეწირა თავი მეფისა და მამულისთვის. გაექანა სახლში, ხატის წინ გადიწერა პირჯვარი, ჩუმათ დაუძახა თავის პატარა ვაჟს, შესვა ცხენზე და უბრძანა: — წადი ახლავე იპატის მონასტერში, სულ ქენებით გასწი, შვილო, და შეატყობინე ჩვენ ახალ მეფეს და დედა მისს, რომ პონელების ჯარი მოდის თქვენ მოსაკლავადო, იქნება თავს უშველონ. ეს უთხრა, გადასწერა პირჯვარი და გაისტუმრა, მერე გამოეთხოვა თავის ცოლს და ჯართან დაბრუნდა.

იმ დროს საშინელი ზამთარი იყო და ძრიელაც თოვლდა. ივანე გლეხი წაუძღვა ჯარის კაცებს, მაგრამ სულ სხვა გზაზე და სხვა მხრისაკენ წაიყვანა; ბევრი ახეტიალა, რომ უფრო ბევრი დრო გასულიყო და ბოლოს ეს ჯარი ისეთ დიდ ტყეში შეიყვანა, რომ გამოსვლა ძნელი იყო. ჯარის კაცები ისე დაიქანცნენ, რომ სიარულის თავიც-კი აღარა ჰქონდათ. მაშინ-კი მიხვდნენ, რომ ქვეანმა გლეხმა მოატყუილა ისინი, მაგრამ რაღა დროს. ჯერ ბევრი სცემეს და აწვალეს საწყალი, მერე იშიშვლეს ხმლები და ლუკმა-ლუკმათ აკუწეს. ის მოჰკლეს, მაგრამ მეფე გადაჩა. ივანეს პატარა

ვაჟმა აასრულა მამის ბრძანება, დიდ ხანს აქენა თავისი  
 გი ცხენი, მაგრამ მონასტერს რომ მიუახლოვდა, ცხენი დაეარდა.  
 მაშინ მან ცხენი მიატოვა და ქვეითათ გასწია; ბევრი ირბინა და  
 შუალამისას დაქანცული მიაღვა მონასტრის დაკეტილ ქიშკარს. და  
 ლალულმა ბავშვმა ბევრი იყვირა, მინამ ბერები შიგ შეუშვებდენ.  
 აქ მან ყველაფერი უამბო მეფის დედას, ისინიც საჩქაროთ მო-  
 ემზადნენ, და უფრო საიმედო ადგილს წავიდენ დასამალავათ.

ეს ამბავი მოხდა 1613 წელს. შემდეგ, როცა რუსეთი დამ-  
 შვილდა და მიხეილიც ტახტზე დაემკვიდრა, ივანე სუსანინის გვარი  
 ყოველ ნაირი გადასახადსგან გაათავისუფლეს. მთელი რუსეთი ებ-  
 ლა აღტაცებით იგონებს გლეხ ივანე სუსანინის თავის გაწირვას  
 მეფისა და მამულისათვის და თავს იწონებს მითი.

გ. წვალტუბელი.



# გ რ ი გ ო ლ ი .

## I.



ერთმეტა წლის გრიგოლი იმისმა დედა-  
ირინემ მასწავლებელს მიჰგვარა სას-  
წავლებლათ.

— მე გთხოვ, ბატონო, გარდა წე-  
რა-კითხვის სწავლებისა, ამის ხასიათს მი-  
აქციოთ ყურადღება, ძალიან დამირიგეთ,  
ერთობ ეშმაკი და უხიაკიო!“ გაუტყდა  
ირინე მასწავლებელს.

მართლა გრიგოლს ერთი შეხე-  
დვით შეამჩნევდა ადამიანი, რომ მის თვალებს და სახეს რაღაც  
ეშმაკური გამოხატულება ჰქონდა. მისი ლაპარაკი, თამაშობა, სი-  
არული, პასუხები, განსხვავებული იყო. ამხანაგის გაჯავრება, და-  
ცემა, ყურებში ჩაფრენა და ატირება მისთვის გასართობ-სათამაშო  
იყო. წუთი ისე როგორ გაირბენდა, რომ გრიგოლზე საჩივარი არ  
მისულიყო მასწავლებელთან. არა თუ იმაზე პატარებს, დიდებსაც  
კი აუტანელ მდგომარეობაში აყენებდა. მასწავლებელი ნიადაგ  
გრიგოლის რიგებაში და დასჯაში იყო: ხან კუთხეში აყენებდა,  
ხან უსადილოთ სტოვებდა და ხან კლასს აგვეყენებდა, მაგრამ გრი-  
გოლის მორჯულებას არა გაეწყო რა... სწავლის გათავების მერე  
რომ სახლში წავიდოდა, მთელ სოფელს იკლებდა: ზოგს ლობებს  
უმტრევდა, ზოგის ეზოში ქვებს ისროდა და ძაღლებს აბრა-  
ზებდა; გაანჩხლებული ძაღლები მოადგებოდნენ ყეფით ლობეს და

სულ კბილით ამტვრევდენ, გრიგოლიც გზიდან მათ ჯოხს და და უფრო აბრაზებდა... გამოუდგებოდენ პატრონები, უჯავრდებოდენ, ხან დაიჭერდენ და იმდენსა სცემდენ, რომ ზურგსა და სახეს დაუსივებდენ... როცა მასწავლებელი გაიგებდა ამ უსიამოვნო ამბებს და დაუწყებდა გრიგოლს გამოკითხვას, გრიგოლი ისე გადაპფიცავდა, რომ მისი გამოტება ვეღარავის შეეძლო. ხშირათ მასწავლებელი ხან ერთს, ხან მეორე შევირდს გააყოლებდა, რომ გზაზე არა ჩაედინა რა, ხან თითონ მასწავლებელიც გაჰყვებოდა ხოლმე.

## II.

ერთხელ სკოლის ეზოში მოსწავლეებს გახურებული ბურთაობა ჰქონდათ. მასწავლებელიც მათში გარეულიყო და მათ თამაშს თვალს ადევნებდა... ხან თითონაც იჭერდა ბურთს; მაშინ ყველა მოწაფეები ირგვლივ შემოესევოდენ და გზას შეუკრავდენ. ბურთაობაში არ ღებულობდა მონაწილეობას გრიგოლი, რომელიც სკოლის კარებში ატუზულიყო და თავივით აქეთ-იქით თვალებს აცეცებდა. მოსწავლეები უფრო თავისუფლათ გრძნობდენ თავს უგზოგოლოთ.

— შენ რათ არ თამაშობ? შეეკითხა გრიგოლს მასწავლებელი.

— არ შემიძლია, ბატონო, ავთ ვარ! უპასუხა გრიგოლმა. ამ დროს ერთმა შევირდმა იგდო ხელთ ბურთი და გაიქცა სკოლის გვერდზე; ყმაწვილები მას დაედევნენ და მასწავლებელიც უკან გამოუდგა... გრიგოლი უცბათ შებრუნდა კლასში, გამოიღო სტოლის უჯრიდან მოსწავლის ბოხჩა, ამოაძრო იქიდან „ბუნების კარი“, გახსნა, ამოიღო სამ კაპეიკიანი გროში და უცბათ შარვლის ნაოჭში ამოიღო. მერე წიგნი ისევ ბოხჩაში ჩადო, ბოხჩა ისევ უჯრაში დააბრუნა და, თითქო აქ არაფერი ამბავიაო, კლასის კარებში დადგა და ავთმყოფსავით მოიფუყა...



## III.

გაკვეთილი დაიწყო. გარდა ორიოდე ზარმაცისა, რომელთაც გაკვეთილი არ იცოდენ, ყველამ კარგი ზასუხები მისცეს მასწავლებელს. გრიგოლმა მთელი გაკვეთილი თავჩაღუნულათ, მუცელზე ხელების ქერით და კვნესით გაატარა. გაკვეთილს შემდეგ ყველანი გარეთ გაიშალენ; გრიგოლიც გაჰყვა მათ... მერე ისევ სწავლა დაიწყო...

— გუშინ რომ რვეულები დაგირიგეთ, აბა იმის ფულები წარმოადგინეთ! გამოუცხადა მოწაფეებს მასწავლებელმა.

მოსწავლეებმა მაშინვე ამოიღეს ბოხჩებიდან სამ-სამი კაპიკი და მიუტანეს მასწავლებელს. ამ დროს უცბათ წამოიჭრა ზეზე შეგირდი ვანო და ცრემლმორეულმა, აპილბილებული ხასით შესჩივლა მასწავლებელს:

— ბატონო, ჩემი ფული ვიღაცას მოუპარავს; ბუნების კარში მქონდა ჩადებული და აღარ არის!

— როგორ? აქ ქურდობას ვინ ჩაიდენდა?.. ალბათ გზაზე დაგკარგვია; ან სახლში დაგრჩენია! უთხრა ვანოს მასწავლებელმა.

— არა, ბატონო! პირველ გაკვეთილზე დავხედე და აქა მქონდა;—ახლა არ არის! ამბობდა ვანო და მისი თვალებიდან ცრემლებს დაბა-ღუბი გაჰქონდა.

— შეიძლება ამ ფულებში ურევია შენი სამ-კაპიკიანი! მოდი და დაათვალიერე! უთხრა ვანოს მასწავლებელმა. მტირალმა ვანომ დაუწყო სტოლზე დალაგებულ ფულებს თვალიერება, მაგრამ თავისი-ვერ აღმოაჩინა!

— არა, ბატონო, აქ არ ურევია ჩემი ფული; ის მე ამ დილას სილით ოქროსავით გავფერე! ფლიკვინებდა ვანო და ხელებს იშმუშნიდა.

— მაშ, კარგი, თუ აქ აქვს ვისმე, იყეღია, არ დაიკარგება; ჯერ ქურდობა საზოგადოთ რა არის და მერე შენისთანა ლარიბი



და გაჭირვებულის გაქურდვა არა გზით მისატაყვებელი ვისაც აღმოუჩნდება, მე იმას ცოცხალს არ გადავარჩენ და ამისათვის ვიჯობსთ, ბავშვებო, თუ ჩემი მეტის-მეტე წყენა და თქვენი თავის დაღუპვა არ გინდათ, თვით გამოაჩინეთ, ვისაც გაქვთ ვანოს ფულიო! მიმართა მასწავლებელმა შეგირდებს.

მოსწავლეები ისე გაილურსენ, რომ ასე გეგონებოდათ-აქ არა ვინ არისო.

— მაშ არა გაქვთ თქვენ ვანოს ფული?

— არა ბატონო!

— ვისაც აღმოუჩნდეს, იმას რა ვუყო?

— დასაჯეთ, როგორც გენებოსთ! დაიღრიალეს ერთ-ხმათ შეგირდებმა.

— დასაჯეთ უზომოთ! დაუშატა გრიგოლმა.

— აბა მე ახლა თქვენ ყველანი უნდა გაგჩხრიკოთ! გამოაცხადა მასწავლებელმა და დაიწყო ერთი შეგირდიდან—მაგრამ მე ამ საქმეს დიდ-ხანს მოვუწადები და თქვენ შესწუხდებით; ამისათვის, ვისაც გსურდესთ, გარეთ გადით, მიიარ-მოიარეთ და ისევ ჩქარა შემოდითო!

სთქვა თუ არა ეს მასწავლებელმა, ყველაზე უწინ გრიგოლი გამოხტა და გარეთ გასვლა დააპირა...

— მოიცა, გრიგოლ, ჯერ უნდა გაგჩხრიკო და მერე შეგიძლიან გარეთ გასვლა; აბა შეინსენი სარტყელი! უთხრა მასწავლებელმა გრიგოლს. გრიგოლი შეკრთა და არ იცოდა რა ექნა. მოსწავლეები წამოდგნენ და დაუწყეს ყურება გრიგოლს..

— რას გაჩერებულხარ? შეინსენი სარტყელი! განიმეორა მასწავლებელმა.

— არაფერი არა მაქვს, ბატონო! უბასუხა გრიგოლმა და ფერი ეცვალა.

— თუ არაფერი არა მაქვს, კიდევ უკეთესი; მართალ და პატიოსან კაცათ დარჩები ჩვენ თვალში!.. გრიგოლმა შეიძრო სარ-



ტყელი. მერე ფეხთ გაახდევინეს, მაგრამ არაფერი გამოიჩინა. აბა ახლა ბლუზა გაიხადე, უბეც გინახოთ!—გრიგოლმა ბლუზაც გაიხადა დიდის გაჭირვებით.

— ეს შარვლის ნაოჭი რათ გადმოგიბრუნებია და დაგიგრებია? ჰკითხა მასწავლებელმა, და უთხრა რომ გაესწორებინა, მაგრამ გრიგოლი არ ისწორებდა, მხოლოდ ზედ სარტყელზე ხელს იფარებდა!—მოიწი აქეთ, მე გაგისწორებ, შენ თუ არ იცი! სთქვა მასწავლებელმა და ხელი მოჰკიდა. გრიგოლი კანკალებდა, სახე ულურჯდებოდა, როცა მასწავლებელი გრიგოლს დაგრებინა შარვლის ნაოჭს უსწორებდა, უცბათ სპილენძის ფული იატაკზე დაეცა და გაგორდა...

— ერი, ჰა!.. აი, ვანოს ფული სად ყოფილა! რა მოხერხებულათ შეუწახავს გადმობრუნებულ ნაოჭში! წამოიძახეს შეგივრდებმა და შექნეს სიცილი და ხმაურობა...

— ბატონო, ეგ ჩემი ფულია, დედა ნუ მომიკვდება, ღმერთი ნუ გამიწყობო! იფიცავდა ვანო. მასწავლებელმა დახედა ფულს და ცხადათ შეატყო, რომ ის სილით იყო გაფერილი.

— მერე საიდან იცოდა აჰან, რომ შენ ფული გქონდა? ჰკითხა მასწავლებელმა ვანოს.

— რაფა არა, ბატონო, ამ დილას ერთათ მოვდიოდით სკოლაში; მე ორი ბუბლიკი ვიყიდე და ერთი მაგას ვაქამე; მეღუქნემ სამი კაპეიკი ხურდა გამომიბრუნა, რომელიც ძალიან გაჟანგული იყო და სილით გავფერე!.. უბასუხა ვანომ.


— კარგი მადლობა კი გადაუხდია! სთქვა ნაღვლიანათ მასწავლებელმა და მერე მიუბრუნდა დამნაშავეს: გრიგოლ! აბა თვით გადასწყვიტე—რა სასჯელი გეკადრება ამისთანა სამარცხენო საქმის ჩადენისთვის? და შეატყერა თვალებში.

— მე... მკვდარი ვარ... შემობრალე, ბატონო!..“ სთქვა გრიგოლმა სასოწარკვეთილებით და გადმოღვარა ცრემლები... წაბარბაცდა და კინალამ დაეცა.


— დიად, შენ ახლა მკვდარი ხარ; კარგია, რომ შეგებინათ; მკვდრის დასჯა აღარ შეიძლება და შენთვისაც მიპატიებია და შემინდვია ეს ცოდვა ისე, როგორც მკვდრისათვის. თქვა მასწავლებელმა და დასვა სკამზე გრიგოლი.

გადიოდა ხანი; მას შემდეგ სკოლაში არათუ ფული, კალამიც კი არ დაკარგულა... სოფელმაც შეისვენა: გრიგოლი აღარავის აჯავრებდა; ის სულ დაფაქრებული და თავჩაღუნული დადიოდა. ნაცნობებს ძლიერ უკვირდით გრიგოლის გამოცვლა და ხშირათ იტყოდნენ: „აკურთხოს ღმერთმა, ვინც შენ აგრე მოგაქვიანაო!..“

გ. ბოკერია.



# კოლბერი



მაუდის დუქანი.

ვიდი საათი იქნებოდა. კოლბერის დედ-მამა უსხდენ მაგიდას. უეცრათ კარი გააღლო და შემოვიდა ბაბტისტი.

დედამ გაკვირვებით შეჰკვილა.

— რა მოხდა, რა ამბავია? რათ დაგინებებია თავი დუქნისთვის, თქვი, ბაბტისტო, შენი უფროსი, ნათლია, ხომ ავათ არ გახდა? ან შენ ხომ არა ხარ ავათ?

ზედიზედ ეკითხებოდენ დედ-მამა, ისე სწრაფათ, რომ ყმაწვილი ვერ ასწრებდა პესუხის მიცემას.

— მე ახლა დუქნის შაგირდი აღარა ვარ, თქვა ბოლოს ბაბტისტმა.

— შენ დანაშაულობა ჩაიდინე? თქვი რა ჰქენი? სასტიკათ დაუყვირა მამამ.

— თქვენი საქმეა განსაჯოთ ვარ დამნაშავე თუ არა, მე გიამბობთ როგორ იყო საქმე: რასაკვირველია ძალიან მწყინს, რომ გამომაგდეს დუქნიდან, მაგრამ ის შემთხვევა რომ ახლაც დამემართოს მე ისევ ისე მოვიქცევი.

ყმაწვილმა უამბო თავისი თავგადასავალი ისე, როგორც წინათაა დვილათ იყო, თავისი უფროსის გასამართლებლათაც კი თქვა ორიოდ სიტყვა.

— ძალიან მოყვარულია ფულისა, და ვერ ხედავს განსხვავებას იმაში, რომ გაყიდვა ცოტა ძვირათ და ერთი-ორათ—ერთი არ არის და ეს მოტყუებათ არ მიაჩნია.

მამა სიხარულით გადაეხვია შვილს და უთხრა:

— შენი საქციელი სწორეთ მოსაწონია!

— რავექნა ახლა, როგორ მოვაწყო საქმე? მე სულაც არ მინდა თქვენი სარჩენი გაეხდეს! ამბობდა ნაღვლიანათ ყმაწვილი.

— მაგაზე ხვალ მოვილაპარაკოთ, ახლა დაჯექ და სადილი ჭამე ჩემთან. ვილაც გვიბრახუნებს კარებს, ვინ უნდა იყოს? მე დღეს არავის ველი!

— ვილაც გკითხულობთ თქვენ, მოახსენა მოსამსახურე ქალმა.

— ვინ არი? იკითხა მოხუცებულმა კოლბერმა.

— ვილაც კაცია, გვარი არა თქვა, არ მიცნობსო. მაგრამ მე საქმე მაქვსო და უნდა ვნახოვო.

— თხოვე, შემობრძანდეს.

## V.

### უცნობი კაცი.

კობტათ და ძვირფასათ მორთული სტუმარი შემოვიდა ოთახში. ბაპტისტმა შეხედა თუ არა იცნო და გაწითლდა.

— ბოდიშს ვინდი, რომ ასე უდროვოთ მოვინდომე თქვენს ნახვა. დაიწყო უცნობმა—რაკი ხვალ მივდივარ ქალაქიდან, მინდოდა უსათუოთ მენახეთ, ძალიან საჩქარო საქმე მაქვს. მე ვარ ბანკირი სენანა.

— რას მიბრძანებთ? ჰკითხა კოლბერმა და მიუდგა სკამი სტუმარს.



— ეს თქვენი შვილია, განა? თქვა ბანკირმა და ჩველადან-  
შნა ბაპტისტზე.

— დიახ, ბატონო..

— თქვენ უსათუოთ გეცოდინებათ კიდევ რაც ამბავი მოხდა, შვილი გაიმბობდათ, მე კი მხოლოდ ახლა გავიგე დაწვრილებით დუქნის შაგირდისაგან ყველაფერი და ისიც რომ თქვენი შვილი სიმართლისთვის გამოაგდეს დუქნიდან. მე მოვედი თქვენთან სათხოვნელათ, რომ თქვენ შვილს სიამოვნებით ავიყვან ჩემი ბანკის კანტორაში. ეგ ისეთი პატიოსანი ყოფილა რომ მალე გზას გაიგნებს.

— თუ დედ-მამას მოვშორდები, თქვენ წინა დადებაზე უარს ვიტყვი.

— შენ უარს ამბობ და მე კი შენ მაგივრათ დავთანხმდები. თქვა მამამ—ჩვენ ისეთ სიღარიბეში ვართ, რომ ღმერთს მადლობა უნდა შეეწიროთ, როცა ამისთანა შემთხვევა მოგვეცემა. შენ იმისთანა კაცის ხელში ვარდები, რომ შემდეგ შენზე იქნება დამოკიდებულნი კაი კაცათ გამოსელა.

თუმცა დანაღვლიანდა ყმაწვილი, რომ დედ-მამას შორდებოდა, მაგრამ დედმამისავე საკეთილდღეოთ განშორება არჩია.

ბაპტისტი ისეთი ფხიზელი და მოძრავი ბავშვი იყო, რომ მალე გაართო მგზავრობამ, ახალმა ადგილებმა და ალერსიანმა მფარველმა.

## VI

### დიდ ხარისხოვანი კაცი.

მგზავრები მივიდნენ პარიჟში; ბაპტისტ კოლბერი არ გააოცა იქაურმა სიმდიდრემ და ისე დაიწყო იქ ცხოვრება, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე სატახტო ქალაქში ეცხოვროს. ყმაწვილმა ბანკირი სენონის კანტორაში ისეთი ნდობა დაიმსახურა, რომ მალე უფრო კაი ადგილი მისცეს და სხვა-და-სხვა ქალაქებში გზავნიდნენ საქმეებზე და ეს ძალიან მოსწონდა ამას. ამ მოგზაურობის

დროს კოლბერი უფრო განვითარდა ხელოვნებაში და მეცნიერებაში, მეტადრე აღებ-მიცემობას მეცნიერულათ სწავლობდა.

ერთმა ახლო ნათესავმა კოლბერთაგანმა 1648 წელს უშოვა ადგილი ბაბტიისტ მდივანთან, სახელმწიფო რჩევაში, ამან ეს 29 წლის ყმაწვილი წარუდგინა კარდინალ მაზარინს.

კარდინალ მაზარინმა იცოდა კაცის მალე გაცნობა და დაფასება; მაშინვე აიყვანა კოლბერი თავისთან და კარგი ადგილი მისცა.

მაზარინმა ისე დაახლოვებით გაიცნო კოლბერი, რომ თავის საიდუმლოებსაც ანდობდა ხოლმე.

კარდინალ მაზარინი უცბათ იძულებული გახდა წასულიყო ქალაქ კელნში. კოლბერი დატოვა სასახლეში და ის იყო მისი მსაიდუმლოე, ამის შემწეობით ჩუმათ მიწერ-მოწერა ჰქონდათ კარდინალ მაზარინს და დედოფალს. როდესაც კარდინალი ისევ დაუბრუნდა თავის უმაღლეს ადგილს, მადლობის ნიშნათ კოლბერის ძმებს და მამას მისცა ადგილები.

მერე კოლბერი გახადეს მარკიზ კრუაზეთ.

როდესაც კარდინალი მაზარინი კვდებოდა ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს უთხრა:

„დიდი დავალებული ვარ თქვენგან, თქვენო უდიდებულესობავ და მხოლოთ იმითი ვიხდი მადლობას, რომ გიტოვებთ ამისთანა შესანიშნავ კაცს, როგორიც არის კოლბერი“.

1661 წელს კოლბერი დანიშნეს ფინანსთა მინისტრათ. იმ დროს საფრანგეთში ვაჭრობა დაცემული იყო, სხვა ქვეყნებთან არ ჰქონდათ აღებ-მიცემობა, გზებიც ხეირიანი არ იყო. კოლბერი მაშინვე შეუდგა თავის დიდი ხნის სურვილის განხორციელებას — ორი ზღვის შეერთებას და ამასთანავე ყველა სახელმწიფოებთან აღებ-მიცემობის კავშირის დაქერას.

ეს ახალი მინისტრი მიხედა რომ დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირს ახალ ქვეყნებთან და დაუწყო მეტოქობა ზღვაზე ინგლისის და გოლანდიას, რომელთაც ხელთ ეპყრათ ზღვაზე მეფობა. ინგლისის



კოროლისაგან, კარლ მეორისაგან, იყიდა პორტი და ამ დღიდან იწყეს ფრანგებმა ახალკოლონიებში ფეხის მოკიდება. ფრანგების გემებმა დაუწყეს დევნა ზღვის ყაჩაღებს, რომელნიც ძალით დათარეშობდნენ. ფრანგები აშენებდნენ ახალ-ახალ პორტებს, აკეთებდნენ ფულებს, გახსნეს რამდენიმე მეზღვაურთა სკოლები და მათი დროშაც ყველგან ფრიალებდა სხვა ქვეყნის დროშებთან.

კოლბერის დროს გაიმართა პირველათ შუშის ქარხანა სანამკი სარკეები ვენეციიდან მოჰქონდათ და საშინელი ძვირათ უჯდებოდათ. იმანვე გახსნა ქარხანა საუკეთესო გობელინის ხალიჩებისა. შეამცირა მიწის გადასახადი, ხელს უწყობდა პირუტყვების გამრავლებას. მერე 1664 წელს დააარსა ხელოვნების აკადემია პარიუში და ფრანგების აკადემია რომში და მას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა სიკვდილის წინეთ: „დიდება ჩემითვე მოვიპოვეო“. კოლბერი გადაიცვალა 64 წლისა.

ან. წ — ის.





## არდაში და ელიზბარი

(ძველი თქმულება).



კეთილი და კარგი კაცი იყო არდაში! გავიდა ზატხული და შემოდგომაც მოახლოვდა, ყველას ყანები, სიმინდი მზათ არის, აგერ კიდევ უნდა გალენონ, არდაშას ყანა კი ისევ მწვანეა, — იმან ყველაზე გვიან დათესა. შეხედავს არდაში თავის ყანას, ჩაფიქრდება, თავს გაიქნევს, ღრმათ ამოიოხრებს და თავის მეზობლების საშველათ წავა. კარგი დაგემართოსთ კარგი მუშა არდაში იყო. მარჯვე, მშრომელი, ყველგან მესვეურათ იმას არჩევდენ, ყველანი აფასებდენ, პატივსა სცემდენ.

მხიარული ცხოვრება იყო არდაშისთვის, კარგათ აქმევდენ და ასმევდენ, მაგრამ არდაში მაინც მოწყენილი იყო. იმისი ზატხულის იმედები სულ ჩაიფუშა; ავალ წინ უდგა ძველებური გაჭირება, ელიზბარის წინ დამცირება, სესხი, შიმშილი და სიცივე.

აი სუყველა ორცოფელებმა ყავიდან ძნები მოზიდეს, გასალეწათ კალოზე გაშალეს და დაილოცეს:

— „ღმერთო, ლხინში და მხიარულებაში მოგვახპარე, დიდხანს მშვიდობით და ბედნიერათ გვაცოცხლეო!“

არდაში კი მარტო ახლა შეუდგა პურის მოჭრას. უნაყოფო იყო გვიან დათესილი ყანა. რაც მოუვიდა არდაშმა გალენა, ელიზბარს თავისი სესხი მისცა და ძალიან ცოტა-ლა დარჩა. მოწყენილი



თავის ქოხის წინ ჩამოჯდა და ფიქრობდა: რა ბედნიერია ელიზბარა, იმისი ქარბი მოსავლის ნახევარი მაინც მამცა.

ელიზბარი კარგათ ცხოვრობდა, დაბადებიდანვე ის მდიდარი იყო და გაჭირვება არ იცოდა, მამა მისმა კარგი მამული და კარგი სახლი დაუტოვა და უთხრა: შენ ჩემო შვილო, შეგიძლია კარგათ იცხოვრო, სუყველაფერი გაქვს; იცხოვრე, ისიამოვნე, ნუ დაჰკარგავ რაცა გაქვს, კიდევ მოუმატე, მაგრამ იცოდე კი ჭკუით მოიქეცი და სამართლიანი იყავი.“ ელიზბარს მამის სიტყვები ახსოვდა; კარგა ცხოვრობდა და ბევრსაც იძენდა. ყველა პატივსა სცემდა და ამასთანავე იმისი ყველას ძალიან ეშინოდა. ის ძალიან სასტიკი იყო.

როდესაც ორცეფელები იმას მსაჯულათ ამოარჩევდნენ, საცოდავმა დამნაშავემ იცოდა, რომ სასტიკათ იქნებოდა დასჯილი, შემსუბუქებას და სიბრალულს არ მოელოდა. ელიზბარის გულმა სიბრალული არ იცოდა.

— ჩვენ რომ დამნაშავე შევიბრალოთ, იძახდა ხოლმე, მაშ პატიოსანმა კაცმა აღარ უნდა იცოცხლოს. კაცმა თუ წესი დაარღვია, ცუდი კაცია და უთუოთ დასჯილი უნდა იყოს. თქვენ, მსაჯულებო, ჭკვიანი ხალხი ხართ და ეს კარგათ უნდა გესმოდეთ. მარტო ერთი არდაშია, რომ თავისი დაუფიქრებელი თავით მზათ არის ყველა შეიბრალოს, იმიტომაც არის ის „არდაში.“ თუ ვინიცობაა ვისმეზე ცუდს იტყოდნენ ელიზბარი თავს გააქნევდა და იტყოდა:— „უთაფლოთ ფუტკარი ვერ იცოცხლებსო...“ და ეს მზათ იყო ყოველ შემთხვევაში გაემეორებინა.

— ჩვენი ელიზბარი კოდეა, — იძახდნენ ხოლმე სოფლელები, ვერც ხეწნით და ვერც ცრემლით ვერ მოარბილებ.

ესე სცხოვრობდნენ ორცეფში ორი მეზობელი: ერთი მდიდარი, მეორე ღარიბი; ერთმა გაჭირვება არ იცოდა და მეორეს მშინერსა და მწყურვალეს, ყველა დასცინოდა. ძალიან მძიმე იყო არდაშის მდგომარეობა, მაგრამ მაინც გამოერეოდა ხოლმე არდაშის

მხიარული დღეებიც, ყოველ გაზაფხულზე იმედი ეძლეოდა.

მალე დადგა ის დროც, როდესაც ეს ბედნიერი წამებიც მოესპო არდაშს, ის მთელმა სოფელმა განდევნა, უარპყო. ეს აი როგორ მოხდა:

ერთხელ ზამთარში, როდესაც არდაში ძალიან დავალიანდა, ყვარელში წასვლა გადასწყვიტა, რომ იქ იქნება თავის ნაცნობებში და მეგობრებში პური ან ფული ეშოვნა. სიცივისაგან აკანკალებული, დაგლეჯილი ახალუბნით, მშიერი გაუღდა გზას. გზა ჯერ ვაკეზე მიდიოდა, მერე აღმართზე და მთებზე გადადიოდა. აი ხეობა უნდა გაიაროს, მერე მარცხნივ ვაკეზე ჩავიდეს და მთის გადაღმა ყვარელი გამოჩნდება. ხეობაში ქარი უფრო ცივი და ძლიერი იყო. არდაში სიცივისაგან კანკალებდა. რა ხრის ეს?

საიდანღაც კენესა მოესმა. საშინელი მწუხარე და ტანჯვით საესე კენესა იყო. არდაშს გული დაეწვა, დაღალულობაც და შიმშილიც დაავიწყდა. გულ-მოდგინეთ ყური და უგდო, გადუხვია ვზას და იქ სალკლდეებში დაინახა ნაცემი და დამტვრეული ელიზბარი.

— ელიზბარ შენა ხარ! რა დაგემართა?

— სულეიმანი დამეცა, კინალამ მომკლა... ცხენი წამართვა...

არდაშმა ახლა ყველაფერი გაიგო. სულეიმანი ლეკი იყო. ამ ორი თვის წინეთ ელიზბარი სხვა ორცფეელებთან ერთათ ყვარელში ქორწილში წავიდა. დიდი ქორწილი იყო, მთელ ერთ კვირას იქეიფეს და გამოიხოვებისასაც კარგა ბლომათ ღვინო დალიეს. რასაკვირველია, სტუმრები დიდათ ნასიამოვნები და მხიარული სახლში წამოვიდნენ. ცა დედამიწათ მიიჩნდათ და დედამიწა ქალამნათ; ისე ღონივრათ გრძნობდნენ თავს, რომ მზათ იყვნენ მთელ ქვეყნიერებას შებრძოლებოდნენ. სიმღერით და ყვირილით მოაქენებდნენ ცხენებს. ამ დროს იმათ საუბედუროთ შეხვდათ ახლო მახლო სოფლის ლეკები. ორცფეელებმა ლანძღვა დაუწყეს, რადგან ბევრი შეწუხება ახსოვდათ ლეკებისაგან თავსდაცემით და აკლებით. ეხლაც შეეტაკენ ერთმანეთს და ელიზბარმა სულეიმანის



ში ქალარა გამოერია და თვალები ჩაუცივდა. გულ-დაქრდილი ერთ ადგილიდან მეორეზე დადიოდა, მაგრამ მოსვენებას ვერსად პოულობდა. როდესაც ცა გაღიწმინდა, თბილი მზის სხივები დედამიწას მოეფინა და გაზაფხულის სუნი დადგა არდაშს მწუხარება უფრო გაუორკეცდა. თავისი ყანა და ვენახი მოაგონდა, სახლისაკენ წასვლა მოუნდა.—რა ვუყოთ, ქურდი დამიძახონ, თუნდაც ყველას ვეზიზღებოდე, ოღონდა კი ისევ ჩემ სახლში ვიყო, ჩემს მიწაზე ვიმუშავო და კიდევ ის ბრწყინვალე იმედები ვიგრძნო, რომლებიც ყოველ გაზაფხულს ჩემთვის მოჰქონდა ხოლმეო, სთქვა არდაშმა და თავის სოფელ ორცეფისკენ გაემგზავრა.


მოღრუბლული დღე იყო, მთებს სქელი ნისლი გადაჰფარებოდა. დილიდანვე წვიმდა, ხან გადიღებდა და ხან ისევ მოდიოდა.

არდაშმა დაღალულმა და დასველებულმა გზაზე დასვენება და გათბობა მოინდომა. ორცეფამდის ცოტა-ლა გზა იყო.

— მოვიცდი ერთ-ორ საათს და ისე წავალ, ბინდისას ჩემ ქოხამდის მივალ, იფიქრა მან. გზაში იმისთანა ადგილი ამოიჩნია, დასასვენებლათ, რომელსაც ზემოდან კლდე ჰქონდა გადმოწოლილი და წვიმა არ ჩამოვიდოდა. ცეცხლი დაანთო, გათბა, დაღალული სხეული მოსვენებას ითხოვდა. ამ გადმოწოლილი კლდის წყალობით დედამიწა მშრალი იყო. არდაში ნაბადში გაეხვია, ნაბდის ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა, წამოწვა და მკვდარივით ჩაეძინა. ძილში დაესიზრმა, რომ ის ორცეფშია, უხვი მოსავალი მოუვიდა, მთელი ეზო და ქოხი ხორბლით, ღვინის ქვევრებით სავსეა და თავის ქორწილს აპირებს. როდესაც არდაშს სიზმრისაგან ბედნიერს სახეზე ჯერ კიდევ სიამოვნების ღიმილი უბრწყინავდა, უნებლიეთ თვალეზი გაახილა, მიიხედ-მოიხედა და შეშინებული და ათრთოლებული წამოვარდა- ცეცხლთან ელიზბარი იჯდა.

— შენა ხარ ელიზბარი!? ძლივს წარმოთქვა მან.

— არდაშ, შენ! რამ მოგიყვანა აქ? სახე არ გიჩანდა, რომ




მკოდნოდა თუ შენა ხარ, არას დროს შენ ცეცხლს არ მოგვეტარებოდი შენ, იქნება მეც...

მაგრამ ელიზბარმა სიტყვა ვერ გაათავა... საშინელი ხმაურობა და გრიალი მოისმა; მიწა და ქვები ჩამოცვივნა, გადმოწოლილი კლდე ჩამოინგრა და არდაში და ელიზბარი ქვეშ დაიტანა.


თქმულება არის რომ იმ ღამეს, რა ღამესაც ეს კლდე ჩამოინგრა, ყველა ორცეფელებმა შემდეგი სიზმარი ნახეს: ნათლით შემოსილ წმიდა ნინოს ერთი ხელი მხიარულსა და გაბრწყინებულ, წმინდანის ტანისამოსით შემოსილ არდაშითვის გაეწვდინა და მეორეთი აკურთხებდა, შერცხვენილი ელიზბარი კი გვერდში უდგა.— „წადით სიღნაღის გზაზე“, — უთხრა წმიდა ნინომ ორცეფელებს— და იქ ახალ ადგილს ნახავთ“.

ორცეფიდან სამი ვერსის მანძილზე, სადაც სიღნაღის გზა შეუხვევს, სამხრეთისკენ, ორი სალი კლდეა, ერთი მოშორებითაა, სწორი, მიუწლომელი და მჯდომარე კაცსა ჰგავს და ელიზბარის კლდეს ეძახიან. მეორე კი გზასთან უფრო ახლოა, დიდრონი თუთის ხეების ჩრდილში, გვერდით მშვენიერი ცივი და ანკარა წყარო ამოჩუხჩუხებს და ეძახიან არდაშის კლდეს.

ქ. მ—სა.




## გმირი ჭინჭველები



ინ არ იცის რომ ჭინჭველებით მოფენილია მთელი დედა-მიწა. ვინ არ დაჰკვირვებია მათ, ვის არ უდევნებია თვალი ამ პატარა მწერებისთვის? მათი შრომა ანდაზათ არის შემოღებული. შვილების მზრუნველობით მოვლაში მას არც ერთი მწერი არ შეედრება. არც კეთილი დაეყრება იმ მტერს, რომელიც მოინდომებს ჭინჭველების მყუდრო ცხოვრების დარღვევას. ჭინჭველები არ ზოგავენ არც თავს, არც სარჩოს და უკანასკნელს ულის ამოსვლამდის იბრძვიან ხოლმე. ავსტრალიის ტყეებში ომის მოყვარული ჭინჭველები ცხოვრებენ, ერთი ბუნების-მეტყველი ნემეცის პროფესორი, რომელიც რამდენიმე წელიწადი იყო ავსტრალიაში მოგვიტხრობს შემდეგს:

„მეტათ მოგვაბეზრეს თავი იმ აუარებელმა ჭინჭველებმა, რომელნიც ჩვენ ბანაკთან ცხოვრებდენ და მუდამ გვესტუმრებოდენ ხოლმე, რომ ჩაეგდოთ ხელში საჭმელი და ან სხვა რამე მოეტაცათ. ჭინჭელის დიდი გორა სულ ორმოც-და ათ ნაბიჯზე იყო ჩვენგან და მოუსვენარმა ჭინჭველებმა ჩვენ კარამდის მშვენიერი გზა გაიყვანეს. ამ გზაზე აუარებელი ჭინჭველები მოძრაობდენ; ცარიელი მოდიოდენ და ყოველთვის დატვირთულნი მიდიოდენ. ამათი მეზობლობა ჩემთვის სულაც არ იყო სასიამოვნო. მინდოდა როგორმე გამეყარა ეს ჭინჭველები, ამასთანავე არ მინდოდა მათი გაწ-



ყველა, თუმცა ადვილი იყო; შემეძლო გადამებუვა ყველა ერთად გაჯავრებული ერთხელ ავდექი და ერთი მუქა ნავტალინი დაეყარე ჭინჭველების გორაზე იმ იმედით, რომ ისინი დატოვებდნენ ბინას და გადასახლდებოდნენ. მაშინვე ატყდა მათ შორის საშინელი ალიაქოთი. მხნე მწერები გაშმაგებულნი მივარდნენ საზიზღარ სუნთან და მაენებელ ნავტალინს, პირით იტაცებდნენ და ისროდნენ ცოტა მოშორებით, მერე იქიდან ისევ იღებდნენ და ზიზღით უფრო შორს ისვრიდნენ. ამ დროს სხვა ჭინჭველები მიეშველებოდნენ და ახლა ისინი გადასროდეს შორს, ბოლოს კიდევ სხვები გამოჩნდებოდნენ საშველათ და ასე ორი საათის განმავლობაში ჭინჭველას გორა განთავისუფლდა ნავტალინისაგან და ჭინჭველებმა, ჩემ და საუბედუროთ, აღრინდელივით დაიწყეს თავიანთებურათ მუშაობა.

მაშინ კი ველარ მოვითმინე, სასტიკი ზომა მივიღე, რომ როგორმე თავიდან მომეშორებინა ჭინჭველები და მათ გორაზე საწამლავი დავუყარე. ისევ ისე შეუდგათ ალიაქოთი და ვაება და ამ ხელათ თავი ისე ადვილათ ველარ დაიხსნეს; საწამლავის სუნი აბრუებდა მათ და ვინც მიეკარებოდა სიკვდილს ვერ გადურჩებოდა.

ჭინჭველებმა ამ შემთხვევაშიაც საოცარი მხნეობა გამოიჩინეს. ისინი არ აპირებდნენ ბინის მიტოვებას; ბევრი მათგანი ცდილობდნენ საწამლავის გადაყრას, მაგრამ იქვე დაეცემოდნენ და კვდებოდნენ. ამ დროს დაღამდა და ველარ განვაგრძე თვალის დევნება აშობს პრეფესორი—და მეგონა რომ მეორე დილას მათი ბინა, გორა, ჭინჯველებისაგან მიტოვებული იქნება, მაგრამ რანაირათ გამოიკვირდა მეორე დილაზე, რომ დავინახე მთლათ გორა მკვდარი ჭინჭველებით მოფენილი, თითქოს ბრძოლის ველი იყო. ჩემი და ყრილი საწამლავი კი აღარსად ჩანდა.

ნახევარზე მეტი ჭინჭველები დაიღუპნენ თავიანთ კარმიდამოს დაცვისთვის. პატარა გმირებს ძვირათ დაუჯდათ სოროს გასუფთავება, რადგან საწამლავთან მიკარება, არა თუ უსი-


მოვნო, საენებელიც იყო: ყოველი ნაბიჯი სიკვდილით თავდებოდა. უსათუოთ სოროდან გამოტანილ საწამლავს ან მიწაში ფლავდენ, ან ფოთლებით და ნაფოტებით ფარავდენ—ისე რომ ამ საწამლავს უვნებლათ ხდიდენ. მთელი დღის განმავლობაში გადარჩენილი კინკველები მარხავდენ დახოცილ მოძმეებს და მოკყავდათ ყველაფერი რიგზე. მერე დაიწყეს რიცხვით შემცირებულიმა კინკველებმა მყუდროთ ცხოვრება თავის მამა-პაპის ადგილზე, რომელიც ისე გულადათ დაიფარეს.

ამ პატარა მწერების გმირულმა მოქმედებამ სამშობლოს დასაცველათ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, განაგრძობს პროფესორი, რომ მას შემდეგ ჩემი თავი დამარცხებულათ ჩავთვალე და აღარ ვდევნიდი იმისთანა გულად კინკველებს.

ახ. წ—სა.







ზატარა მკითხველების წერილები.

ქ. თფილისი.

ძვირფასო რედაქტორო!

მე წავიკითხე „ჯეჯილის“, სექტემბრის ნომერი და ძალიან მომეწონა; ყველაზე უფრო მომეწონა „ვანო და გულ-ყვითულა“, „ძველი დედა“ და „სურამის ციხე“.

სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლე არჩილ გულისაშვილი.

სოფელი პრიშიბი (ბაქოს გუბერნია).

საყვარელო „ჯეჯილის“ რედაქტორო!

მე წავიკითხე ბოლო ნომერი „ჯეჯილისა“ და მომეწონა „ყვავილების გამყიდველნი“, „მელა და მგელი“, „ვაი სიხარბემ წამწყმიდა“ და „ბალღი და ქათამი“.

მე აქ მოვედი წვიმოეთიდან, აქ უნდა მომამზადონ და მერე მანდ, სათავათ-აზნაურო სასწავლებელში მივებარები. აქეთ სულ თათრები და რუსები სცხოვრობენ. სხვას მერე მოგწერ.

მიტო გვერდწითელი. (8 წლისა).

ბ. კალაგონი (ოზურგეთის მაზრა)

საყვარელო რედაქტორო!

მე მესამე წელიწადია რაც სკოლაში დავდივარ და ვსწავლობ. წრევან-დღამდე არც მე და არც ჩემს ამხანაგებს ხელში არ აგვიღია სხვა ქართული წიგნები, თუ არა დედა ენა ან ბუნების კარი; კითხვა არ ვიცოდით ხეირიანათ და რომ გვეცოდნოდა, წიგნებიც არ გვექონდათ. წელს კი—მარიამობისთვიდან —ბ. დიმიტრი ი. ხუნდაძემ გამოგვიწერა „ჯეჯილი“, რომელსაც აღტაცებით მოველით ყოველი თვის ბოლოს, წინანდელი შვიდი ნომრებიც ერთათ გამოუგზავნა ჩვენ მასწავლებელს. ჯეჯილის კითხვას კარგათ შევეჩვიეთ და რებულების ახსნასაც. თუ არა ვსცდები, ჯეჯილის მეცხრე ნომერში რებუსი შემდეგი შინაარსისაა: „ენითა მუნჯი სჯობიან ავ მეტყველ მოუბარესა, ათასი მტერი სჯობიან ერთს უმსგავსო მოყვარეს“.

ჩვენი მასწავლებლის მონდობილობით და ამხანაგების მხრივაც დიდ მადლობას ვუცხადებ ბ. დ. ი. ხუნდაძეს ამისთანა მშვენიერი ჟურნალის გამოწერისათვის, როგორც ყოფილა ჯეჯილი.

კალაგონის სამრევლო სკოლის მოსწავლე ივანე ხუნდაძე, 12 წ.





ს კ რ ო ს ტ ი ს ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

გადაჰფარვიან ღრუბლები ცასა,  
 იცრემლებიან წარა-მართა;  
 ოხრავს გლეს კაცი, შეშას იმზადებს,  
 რომ ზამთარს დახედეს თავის გვართა.  
 გული უკედებათ ხეებს, ჰგონიათ  
 ოქროს დროება დაჰკარგეს მარად,  
 ბაქი-ბუქია მხოლოდ ბუნების  
 ისვრის თოვლს ჭყაპსა ზეციდან ბართ...  
 სულით მაღალი ერის ჭირიმე,  
 თითო ჩვენგანი არ გაიტყვს გულს,  
 ვერ შევშინდებით, გაზაფხულდება,  
 ერიც მინდორთან იწყებს სიხარულს.

## ან დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი ვ. ხუროძისაგან).

კოკამა სთქვა: ცხენი არა მყავს, მაგრამ ფეხით არ გამივლიაო.

ცხერი რომ შუაში არ იყოს თვალეები ერთმანეთს მოთხრიდენო.

(წარმოდგენილი კ. სეხნიაშვილისაგან).

სიმწარე თუ თავზე არ გაყრია სიტკბოება ფრჩხილსაც არ დაგიფარავსო.

მენავემ თუ წყლის სიღრმე არ იცის ნავს ქვეშიდან მოექცევაო.

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

უსულო მამა დედაჩემს, მხარში შეუდგა უშველა;  
დედამა მშობა ტირილით, მემოყვებთან სულყველა.

(წარმოდგენილი სათ. აზ. სკოლის მოსწავლე აზ. გულისაშვილისაგან).

ზევით ეკალი ასხია, ქვეით თავი და ფეხები.  
აბა, პატარავ, რა არის? გამოიციან რასა სდგები.

(წარმოდგენილი კ. ფრონის პირელისაგან).

აზრუმელი მგელი, კლდის და მიწის მთხრელი;  
ნადირს მოჰკლავს არა სქამს—ეს არს საკვირველი.

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისა).

არც გვართ არის სახელი,  
არც ვაჟეაცობით, ქონებით,  
კაცი ხელათ ცნობილია,  
მხოლოთ ჭკუით და გონებით.

ა ნ ა გ რ ა მ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

პირველი ჰქვიან საქმესა, მორჩომილ დამთავრებულსა.  
მეორე მოუგონია მწერალსა მოხერხებულსა.  
მის გამოცნობა, პატარავ, არ ძალუძს გაშტერებულსა;  
ორივე სამი ასოთი დაუწერია ქებულსა.

საღმსურაფხსაშური გამოცნანა

(წარმოდგენილი ჯანაშიასაგან)

ერთხელ გაიმართა დიდი იმ პირობით, რომ უკან ჩამორჩენილ ცხენს უნდა მიეღო საჩუქარი. ყველა ცხენის პატრონს უნდოდა საჩუქარი მიეღო და ამიტომ ყველა გაჩერებული იდგა, ცხენებს ადგილიდან არა სძრავდენ. ხალხმა უკმაყოფილება გამოაცხადა, მოგვატყუილესო. ამ დროს ერთმა მოხუცმა რაღაც ურჩია ჩუმათ ცხენებზე მჯდომთ, რასაკვირველია პირობა ისევ ისე რჩებოდა. მოხუცის რჩევის შემდეგ ცხენები დაიძრენ და საჩუქარი უკან ჩამორჩენილს ერგო. აბა გამოიცანით რა ურჩია მოხუცმა?

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

პირველზე ვიტყვით—„ეხსენო“,  
 სიტყვაა შემოკლებული.  
 მეორე მაწვნის საკმელი,  
 მაწვნითვე შეზავებული.  
 მესამე—უხმო ასოა,  
 ხანდახან მოწოდებული.  
 მეოთხით ვხარშავთ საკმელებს,  
 ცეცხლია გაფიცებული;  
 მთლათ ხელმწიფისა მეუღლე,  
 ერისგან გადიდებული.

რებუსი

(წარმოდ. სათ. აზნ. სკოლის მოსწ. დ. დეკანოზიშვილისაგან).



ს , უ , რ

გათქვე-  
ფილი მა-  
წონი.



რ  
ს



რ





ს



ქ  
ნ

ს



ს

ო.

# ა ხ ს ნ ა

„ჭეჭილის“ № X გამოცანებისა.

აკროსტიხი: ღვინობისთვეა.

გამოცანები: 1) ტიკი, 2) ხანჯალი, 3) ჰებელა.


ზმა: გავა, ტარო, თუთა, ხე, ხარო.

ანაგრამა: ხატი — ტახი.

შარადა: ჰაერი.

რებუსი: ენითა მუნჯი სჯობიან — ავ-მეტყველ მოუბარესა,  
ათასი მტერი სჯობიან ერთ უმსგავსო მოყვარესა.

აკროსტიხი, გამოცანები, ზმა, ანაგრამა, შარადა და რებუსი ახსნეს თფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლემ დ. დეკანოზიშვილმა და სოფ. აკეთის ორ კლასიან სასწავლებლის მოსწავლეებმა: ილია გოგელიამ, ბიქტორ ჟორჟოლიანმა და სიო ქურიძემ.





# „კ ვ ს ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს, **გაზარ-  
თოვებაული ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

**რედაქციისთვის:** რადგანაც ახალ-წლიდან „კვალის“  
გამოცემის საქმე ახალ ზიარებებში დგება, ამისათვის შე-  
საძლებელი ხდება გაზეთის სიფრთხილად გაფართოვება, ახა-  
ლი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით მკით-  
ხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება  
მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა  
სურათები (გეროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი  
ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მანეთათ, თფი-  
ლისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ.,  
თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო საში თვით 2 მან. თითო  
ნომერი სამ შაურათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-  
ნაწილად შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის სა-  
ზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაუ-  
რო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის  
ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედა-  
ქციაში, არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტთა კორპუსის ახლოს  
(ღროებით, სანამ ახალ ბინაზე გადავიდოდეს).

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და გ. ბუქნაიშვილის  
წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მა-  
ღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველში; ოზურგეთში  
და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში;  
ქიათურაში კარზე მოდებამესთან და ყვირილაში ივანე არდი-  
შვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.



საქმაწვილო ნახატებიანი ყურნალი

# „ჯ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მეთორმეტი

გამოვა 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმავე ზრგ-  
რამით, როგორც აქამდის.

ყურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საე-  
პარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისგან  
სასწავლებლის სამკითხველთაში საკითხავათ.

ყურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს  
4 მან. თფილისს გარეშე კავზაფნით 5 მან. ცალკე ნა-  
მერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახე-  
ვარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში — „წერა-კითხვის გამ. საზოგადოე-  
ბის“ კანტელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор.,  
№ 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Арти-  
ллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса)

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисѣ, въ редакцію  
грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*